

ს 13.
1928

საბჭოთა სამართალი

ს.ს.ს.რ.
იუსტისსახარების
თრავიწყული
თრავანი

→ შინაუარსი ←

- ი. ვარძიელი.—„საბჭოთა სამართალი“.
- ი. როინაშვილი.—ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი.
- ა. კოსტავა.—ახალი რამ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტში.
- კ. მიქელაძე.—კომლის ქონებიდან კომლის წევრის ბავშის უფლება სარჩოს მიღებისა.
- მ. ქორქაშვილი.—სამოქ. სამართლის საპროცესო კოდექსის 173 მუხლის შეფარდება.
- გ. რცხილაძე.—მფლობელობის დაცვა.
- დ. გაბაშვილი.—შრომის კოდექსის 47 მუხლის შეფარდება.
- ბ. მოისრაფეშვილი.—სამემკვიდრეო კანონის შესახებ.
- ი. პ—ლი.—სასამართლო და ცხოვრება.
- ელ—სასამართლოს კურონოზები.
- კანონმდებლობის მიმოხილვა.
- ნ. ჭინჭარაძე.—სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო იურიდიული წრე.
- ქრონიკა.
- ბიბლიოგრაფია.
- ფოსტა.
- ოფიციალური ნაწილი.

№ 1

1 იანვარი

1928

1928 წლის 1 იანვრიდან

იწეებს გამოსვლას ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის
ორგანიზებული ორგანო

„საბჭოთა სამართალი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელშეწყობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-საქმეობრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი ექნება ადგილი პენიტენციულს, საშილიციო და სიხლის სამართლის სამკაბრო შილიციის მუშაობას.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში იქნება აგრეთვე შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაგრძობილად შემდეგი კონსტანტები:
(ანბანზე)

ალხოვი, ამალღობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი, გალუხტიანი, დოლიძე თ., ვარდანანი, ვარძიელი ი., იუზბაშვილი, კაჭარავა ა., კოსტავა ა., ლუნკევიჩი, მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი, ნუცუბიძე შ., როინიშვილი ი., რცხილაძე გ., სიგინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შვერდოვი, შურაია ლ., ჩხვიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, ა. კაჭარავა, პ. როფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინიშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ. ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

რედაქცია და კანტარას მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 13—68.



საბჭოთა სამართალი

რედაქციის და კანტორის
მისამართი:

ტფილისი, ტრიუმფალის
ძ. № 32

ტელ. № 13-68

საქმისმფარის უახლესი:

წლიურად — 10 მან.
6 თვით — 5 მ. 50 კ.
3 თვით — 3 მ.
1 ნომერი 50 კ.



1 იანვარი 1928 წ.

№ 1

„საბჭოთა სამართალი“

იურიდიული ჟურნალის საკუთრება ჩვენში საკმაოდ მომწიფებულად უნდა იქნეს მიჩნეული. ამჟამად ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზედ ჩვენ წინაშე უდიდესი მნიშვნელობისა და განსაკუთრებულად საყურადღებოა და საკულისხმო საკითხია აღმართული: სოციალისტური მშენებლობის საგეგმო მუშაობას თანამედროვე სამართალი რა გზითა და ღონისძიებით უნდა შეეფუარდოს, რომ სამართლის ნორმებით კალაპოტ-გამაგრებული თვით ამ მშენებლობის პროცესი წარჩინებით მიმდინარეობდეს.

ამ მთავარი საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტისა და მოგვარებისათვის კი საჭიროა დიდი მუშაობა, რომელმაც ჩვენი სასამართლოს მოღვაწეობის ყველა დარგი უნდა ჩერემოიცვას და თვითეული საკითხი — დიდი თუ მცირე, თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათისა უნდა გააშუქოს საბჭოთა კანონმდებლობის და მთავრობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების თვალსაზრისით.

აი, ამ საქმეს უნდა ემსახუროს ჩვენი ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, ასეთია მისი მოწოდება და დანიშნულება, რომელსაც ჩვენი სასამართლოს მუშაკთათვის არ ესაჭიროება ვრცლად განმარტება და დაწვრილებით დასაბუთება.

რევოლუციური კანონიერების ჩვენს სინამდვილეში განმტკიცებისათვის, რასაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, კოდექსების მარტოდენ არსებობა საკმაოდ არ არის, ვინაიდან კოდექსები და მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულები ჯერ ერთი მშრომელი მოსახლეობისათვის არც ხელმისაწვდომია და არც ადვილი გასაგები და მეორეც ისაა, რომ საკანონმდებლო აქტების სირთულე და სიმრავლე, ზრდა ამ სიმრავლისა ცხოვრების ჩქარი ტემპით და სწრაფი ცვლადობით გამოწვეულია. ყველა ეს გარემოება ხშირად თვით სასამართლოს მუშაკთაც კი უძნელებს ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტების ჯეროვანად შეფარდებას.

ამიტომ ჩვენს ჟურნალს მიზნად დასახული აქვს: მომქმედი სამართლის ნორმების (კანონების) გაშუქება, სამართლის ინსტიტუტების (საკუთრების, მფლობელობის და სხვ.) აზრის, დანიშნულების და მნიშვნელობის განმარტება, სასამართლოს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობაში აღძრული უფლებრივი საკითხების დამუშავება და ამ საკითხებთან დაკავშირებულ ნორმების სათანადო განმარტება საბჭოთა სამართლის პოლიტიკის

ზოგადი და ძირითადი დებულებების თვალსაზრისით, იმ გზისა და ღონისძიებების გარკვევა, რა გზითაც და რა ღონისძიებითაც უნდა ვითარდებოდეს ჩვენი სამართლის პოლიტიკა და სხვა და სხვა.


ყველა ეს საკითხი ერთად და ცალ-ცალკე, ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რომ მისი ჯეროვანი გაშუქება ჩვენს ჟურნალში შეგვაძლებინებს, რომ მშრომელ მოსახლეობაში დამკვიდრდეს სწორი აზრი საბჭოთა სამართალსა და სამართლის პოლიტიკის შესახებ საერთოდ და თვითეულ უფლებრივი საკითხების შესახებ კერძოდ, განმტკიცდეს რევოლუციური კანონიერება და გაჯანსაღდეს უფლების განხორციელების პირობები — ეს მიუცილებელი პირობა სოციალისტური მშენებლობისა.

გასულ წელს იუსტიციის კომისარიატმა გამოსცა „საბჭოთა სამართლის“ ერთი ნომერი. სხვადასხვა დაბრკოლებათა და აგრეთვე ტენიკურ მიზეზების გამო, ჟურნალმა დროებით შესწყვიტა არსებობა, მაგრამ არა საბოლოოდ. დღეს ახალი ძალებით და ენერგიით უდგებით ჩვენი ჟურნალის განახლება.

მიზანი დიდიდაა, საკითხები მრავალი, მაგრამ ჩვენი ჟურნალი მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას, როცა სასამართლოს ყველა მუშაკი, ადგილობრივი ხელისუფლება, პარტიული და საზოგადოებრივი ყველა ორგანიზაცია ჟურნალში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მასალების მოწოდებით, უფლებრივი საკითხების აღძვრით, შეკითხვებით კანონების განმარტების შესახებ, პრაქტიკული საქმიანობის გაშუქებით, კანონის ნაკლის ან შეუფერებლობის აღნიშვნით და სხვ.

და ჩვენც იმ იმედით, რომ ყველა საბჭოთა დაწესებულების მუშაკნი, განსაკუთრებით კი სასამართლოს მოღვაწენი, სამაზრო აღმასკომები და მილიციის ორგანოები, დამკვეთთა კოლეგიის წევრნი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიური თანაგრძნობით გამოეხმაურებიან ამ საქმეს, მოგუწოდებთ მათ მხურვალე მონაწილეობისათვის, რათა უფლებრივ საკითხების დამუშავების ნიადაგზედ ჟურნალსა და მის თანამშრომელთა, საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა და მთელ მშრომელ მოსახლეობის შორის დამყარდეს ცოცხალი კავშირი და მჭიდრო ურთიერთობა.

ი. ვარძიელი.



საქ. ს. ს. რესპ. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში ამ უამად საბოლოოდ დამუშავებულია სისხლის სამართლის ახალი კოდექსის პროექტი, რომელიც წარედგინება სრ. საქ. საბჭ. ცაკის მომავალ სესიას განსახილველად.

სისხლის სამართლის კოდექსი მთლიანად იქნა გადაშუშავებული და შეითვისა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც მიღებულ იქნა სრ. საქ. საბჭ. ცაკის 1925 წლის უკანასკნელ სესიის შემდეგ. პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მიღებული იქნა საქ. ს. ს. რესპ. და სხვა საკავშირო რესპუბლიკათა სასამართლო პრაქტიკა, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარების თათბირზე მიღებულ რეზოლიუციებში გამოთქმული სურვილები და სხვ., მაგრამ საფუძვლად აღნიშნულ კანონპროექტს უმთავრესად დაედო ს. ს. რ. კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების სისხ. სამ. კანონმდებლობის საფუძვლები ის ცვლილება და დამატება, რაც მიღებულ იქნა ს. ს. რ. კავშირის 3-მოწვევის ცაკის 3-სესიის მიერ.

მაგრამ ამ ცვლილებისაგან დამოუკიდებელიც, სისხ. სამ. 1924 წლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების ზოგიერთი დებულება, შეთვისებული ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით ჯერ კიდევ 1925 წელში, უფრო სწორედ და მკაფიოდ არის გადმოცემული და შეტანილი ზოგიერთი ცვლილებით სისხლის სამართლის კოდექსის ახალ პროექტში.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები ეხებიან უმთავრესად სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს, მაგრამ ახალი კოდექსის პროექტის შედგენის დროს ჯეროვანი ყურადღება მიექცა აგრეთვე მის კერძო ნაწილსაც, სადაც შეტანილი იქნა მთელი რიგი ახალი მუხლებისა, შესამჩნევად შეიცვალა ზოგიერთი მუხლი, ზოგიერთს კი მიეცა ახალი რედაქცია.

ამ წერილში ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ ის არსებითი ცვლილებანი და დამატებანი, რაც შეტანილი იქნა პროექტით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44 მუხლის ძალით საპროკურორა ზედამხედველობას და სასამართლოს უფლება ეძლევა არ აღძრას სისხლის სამართლის წესით დევნა და აგრეთვე მოსპოს საქმეები ისეთი დანაშაულის შესახებ, რომელიც თავის შედეგით მცირეა, უმნიშვნელო და არარად ჩასათვლელოა, უკეთუ ამასთანავე ასეთი საქმის წარმოება აშკარად მიზანშეუწონელიცაა. სისხ. სამ. საპრ. კოდ. შემდეგი მუხლებიდან სჩანს, რომ საქმის ასეთი მოსპობა შეიძლება მოხდეს მოკვლევის, გამოძიების ან და სამართალში მიცემის სტადიაში. ამ რიგად სასამართლოს არა აქვს მინიჭებული ასეთი უფლება სამსჯავრო სხდომაზე საქმის განხილვის დროს. ამ უამად სისხლ. სამ. ახალი კოდექსის პროექტში შეტანილია ახალი მუხლი 14, რომლის ძალით ეს უფლება ენიჭება სასამართლოს საქმის განხილვის დროსაც სამსჯავრო სხდომაზე.

ოანდონაწილეობის სახეები სისხ. სამ. ახალი კოდექსის პროექტის 17 მუხლში განსაზღვრულია ისევე, როგორც მომქმედი კოდექსის 18 მუხლში. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად წამოჭრილა საკითხი იმის შესახებ, თუ რავგარ დამფარველებზეა ლაპარაკი 18 მუხლში და რა მუხლი უნდა შეეფარდოს ისეთ დამფარველს, რომელსაც არ მიუღია უშუალო მონაწილეობა თვით დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ჰფარავდა დანაშაულებს ან და დანაშაულის კვალს იმის შემდეგ, რაც დანაშაული უკვე იყო

დამთავრებული. 18 მუხლს მხედველობაში აქვს ისეთი დამფარველი, რომელიც ხელს უწყობდა დანაშაულის შესრულებას დანაშაულის ან დანაშაულის დაფარვით. დამფარველთა ასეთ ჯგუფში მოხვდება ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე დაპირდა დახმარებას დანაშაულის ან დანაშაულის კვალის დასაფარავად და შემდეგ ჰფარავდა დანაშაულებს ან დანაშაულის კვალს, ან ის, ვინც დანაშაულებს ან დანაშაულის კვალს ჰფარავდა თვით დანაშაულის ჩადენის დროს. სწორედ ასეთ დამფარველებზეა ლაპარაკი 18 მუხლში, რომელიც მათ მიაკუთვნებს დამხმარეთა ჯგუფს. სისხ. სამ. ახალი კოდ. პროექტის 17 მუხ. შეესებულება იმის აღნიშვნით, რომ ისეთი დამფარველობა, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულის შესრულებისათვის დახმარებას, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას მხოლოდ სისხ. სამ. კოდ. სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში და შემდეგ, გარდა ამისა, მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის თავში შეტანილია ახალი მუხლი, რომლითაც წესდება ამდაგვარ დამფარველთა პასუხისმგებლობა.

სისხ. სამ. 1924 წლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების 11 მუხლით (სსრკ 1924 წ. კან. და ვან. კრებ., № 24, მუხ. 205) უარყოფილი იქნა ხელყოფისა და მოსამზადებელ მოქმედების გამოიჯენა და სისხ. სამ. კანონით ამა თუ იმ სახის დანაშაულისათვის სოციალური დაცვის დანიშნულ ღონისძიების შეფარდება იმის მიხედვით, თუ რამდენად საშიშია დანაშაულები და რამდენად არის განხორციელებული დანაშაულებრივი განზრახვა, დაწესდა ყოველ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული დაიწყო, მაგრამ არ იქნა ბოლომდე მიყვანილი. ამ რიგად დანაშაულის ორივე სტადია—მოსამზადებელი მოქმედებაც და ხელყოფაც დევნილია კანონით ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული. ეს მუხლი შეთვისებულ იქნა მომქმედი სისხ. სამ. კოდ. 19 მუხლით, რაც შეეხება სისხ. სამ. კოდ. პროექტს, იგი უფრო სწორედ და მკაფიოდ გადმოგვცემს აღნიშნული მუხლის აზრს და აღნიშნავს, რომ დანაშაული ჩათვლება დაწყებულად, უკეთუ დანაშაულებრივი განზრახვა გამოისახა გარეგან აქტიურ თუ ვინდ მარტოოდენ მოსამზადებელ ხასიათის მოქმედებაში, როგორც არის: დანაშაულის იარაღების და საშუალებათა გამოძებნა და მომარჯვება და სხვ... ასეთი თვალსაზრისი საფუძვლით ეთანხმება საბჭოთა სისხ. სამ. კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის არა როგორც ფორმალურ ცნებას, არამედ როგორც სოციალურად საშიშ ქმედობას, თანაც სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას უკავშირებს როგორც თვით ჩადენილი მოქმედების, ისე მიი დანაშაულებრივი მიზნის მეტ თუ ნაკლებ სოციალურ საშიშროებას და აგრეთვე იმ პირის სოციალურ საშიშროებას, რომელმაც ჩადინა დანაშაულებრივი ქმედობა. აქედან, საბჭოთა სისხლის სამართლის თვალსაზრისით სრულიად ლოლიურია დანაშაულის შეფასება ზემო აღნიშნულ ნიშნებთან დაკავშირებით, იმისაგან დამოუკიდებელიც, მოასწორო თუ არა პირმა ჩადინა ესა თუ ის მოქმედება. პროექტის 19 მუხ. 2 ნაწილში მიღებულია საფუძვლად ნიშანი იმ პირის სოციალური საშიშროებისა, რომელიც შეუდგა დანაშაულის შესრულებას, რის გამოც ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირმა თავისი ნებით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას აწესებს მხოლოდ ფაქტიურად ჩადენილ მოქმედებისათვის.

სისხ. სამ. ახალი კოდ. პროექტის 23 მუხლი უფრო სწორედ და ნათლად გამოსთქვამს მომქმედი სისხ. სამ. კოდ. 24 მუხლს და ანგარიშს უწყევს სისხ. სამ. კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების იმ ცვლილებებს კონფისკაციისა და ჯარიმის მიმართ, რაც იყო მასში შეტანილი სსრ კავშირის ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს 1927 წლის

ინგლისის 15-ს დადგენილებით (სსრ კავშირის 1927 წ. კან. და გან. კრებ., № 35, მუხ. 365). ამ მუხლით სოციალური დაცვის ძირითად ღონისძიებად აღიარებულია მშრომელთა მტრად გამოცხადება თავისი შედეგებით, თავისუფლების აღკვეთა და იძულებითი მუშაობა. სოციალური დაცვის ასეთი ღონისძიება შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი ღონისძიება, ე. ი. არ შეიძლება მისი შეერთება სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებასთან. სოციალური დაცვის ყველა სხვა ღონისძიება, კონფისკაციის, ჯარიმისა და გაფრთხილების გარდა, შეიძლება შეფარდებულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი, ისე დამატებითი ღონისძიების სახით, ე. ი. სასამართლოს უფლება აქვს სოციალური დაცვის ძირითად ღონისძიებასთან ერთად დაუნიშნოს ერთ-ერთი დამატებითი ღონისძიებაც, თუნდაც რომ სასამართლოს მიერ შეფარდებულ კანონში აღნიშნული ღონისძიება არ იყოს გათვალისწინებული.

რაც შეეხება კონფისკაციასა და ჯარიმას, სოციალური დაცვის ამ ღონისძიებათა შეფარდება (პროექტის 23, 38 და 40 მუხ.) შეიძლება არა სასამართლოს შეხედულებით, არამედ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ასეთი შეფარდება დაწესებულია თვით კანონით, თანაც კონფისკაციის შეფარდება სოციალური დაცვის როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ღონისძიების სახით შეიძლება მარტოოდენ სახელმწიფო, სამხედრო, უფრო მნიშვნელოვან თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულის კანონით მკაფიოდ ჩამოთვლილ შემთხვევებში და აგრეთვე სსრ კავშირის კანონმდებლობის წესისამებრ დაწესებულ სხვა შემთხვევაშიაც.

რაც შეეხება გაფრთხილებას, მისი შეფარდება შეიძლება მარტოოდენ გამამართლებელ განაჩენის შემთხვევაში.

სისხ. სამ. მომქმედი კოდექსის 12 მუხლის შენიშვნის თანახმად სამკურნალო ხასიათის ღონისძიება არ შეფარდება იმ პირს, რომელმაც განზრახ დაითრო თავი დანაშაულის ჩასადენათ. ეს შენიშვნა შეცვლილია სისხ. სამ. ახალი კოდექსის პროექტით. პროექტის 10 მუხლი უდრის მომქმედი კოდექსის 12 მუხლს. პროექტის ამ მუხლის შენიშვნის თანახმად, სოციალური დაცვის სამკურნალო ხასიათის ღონისძიება არ შეფარდება ისეთ პირს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა სიმთვრალის დროს. მაშასადამე მას უნდა შეეფარდოს სოციალური დაცვის სასამართლო-გამასწორებელი ახასიათის ღონისძიება. პროექტის თვალსაზრისით სიმთვრალე აღიარებულია ანტი-სოციალურ მოვლენად და როგორც საერთო წესი მთვრალს პროექტი არა სცნობს სულით-ავადმყოფად. მაგრამ აღნიშნული დებულებით არ არის გამორიცხული პროექტის 10 მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათა შეფარდება ისეთ ალკოჰოლიკების მიმართ, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ სულით ავადმყოფობისა ან და დროებითი სულიერი შერყვის დროს, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს მიღებული წესისამებრ სასამართლო-სამკურნალო ექსპერტიზის მიერ.

მომქმედი სისხ. სამ. კოდ. 55 მუხლი შეცვლილია იმ მიმართულებით, რომ უფრო ფართოდ არის მიღებული ვადამდე პირობითი განთავისუფლება ე. ი. ის შეფარდება სოციალური დაცვის ყველა ვადიან ღონისძიებას. ასეთ ღონისძიებად, თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მუშაობის გარდა, უნდა ჩაითვალოს უფლების აყრა, სსრ კავშირის ფარგლებიდან განდევნა ვადით, საქ. ს. ს. რ.-ის თარგმნიდან ან განსაზღვრულ ადგილიდან განდევნა, თანამდებობიდან დათხოვნა და ამა თუ იმ თანამდებობის დაკერის, საქმიანობის ან ხელობის აკრძალვა. ვადამდე პირობითი განთავისუფლების შეფარდების წესი ისეთ პირთა მიმართ, რომელთაც, თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მუშაობის გამოკლებით, დაენიშნა სოციალური დაცვის

სხვა ვადიანი ღონისძიება, განსაზღვრულ უნდა იქნეს სისხ. სამ. საპრ. კოდექსში, რისთვისაც საჭიროა აღნიშნულ კოდექსში სათანადო ცვლილებისა და დამატების შეტანა. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთას და იძულებითი მუშაობას, იმათ მიმართ ეს წესი განსაზღვრულია სისხ. სამ. საპრ. და შრომა-გასწორების კოდექსებით.

სისხ. სამ. კოდ. პროექტში შეტანილ ახალ მუხლებთა შორის აღს ნიშნავია შემდეგი მუხლები.

პროექტის 16 მუხლი, რომელიც გადმოღებულია სსრ კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკათა სისხ. სამ. კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების ახალი 10¹ მუხლიდან, სცნობს გასამართლებულთა რიცხვიდან გამორიცხულად მთელი ამის შედეგებით, ე. ი. ვითომც ისინი სრულებით არ ყოფილან სამართალში მიცემული, სასამართლოს მიერ გამართლებულ პირთ, პირობით მსჯავრდადებულთ, უკეთუ ისინი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ გამოსაცდელ ვადის განმავლობაში არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს, იმ პირთ, რომელთაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ექვსი თვისა ან და სოციალური დაცვის სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიება, უკეთუ ისინი სამი წლის განმავლობაში დღიდან სოც. დაცვის სათანადო ღონისძიების მოხდისა არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს და, ბოლოს, ისეთ პირთ, რომელთაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა, უკეთუ ისინი არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს ექვსი წლის განმავლობაში.

პროექტის 57 მუხლით მიღებულია შემოკლებული ვადები ვადამდე-პირობითი განთავისუფლების შესაფარდებლად არა სრულწლოვანთა მიმართ, სახელდობრ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მათ თავისუფლების აღკვეთას ვადის მოხდამდე მიადწიეს სრულწლოვანებას და გამოიჩინეს გამოსწორება.

სისხ. სამ. კოდ. 33 მუხლი შევსებულია პროექტში მეორე ნახევრით, რომლის ძალით სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთის ვადით ერთ წლამდე დაინიშნის დროს უკულების აყრა დაუშვებელია.


ამით ამოიწურება ყველა ის არსებითი ცვლილება, რაც შეტანილი იქნა პროექტით სისხ. სამ. კოდ. ზოგად ნაწილში. ცვლილებათა გარდა, ზოგიერთ მუხლს მიეცა ახალი რედაქცია მისი უფრო მკაფიოდ გადმოცემის მიზნით.

უურნალის შემდეგ ნომრებში ჩვენ აღვნიშნავთ იმ ცვლილებებს და დამატებებს, რომელნიც იქნენ შეტანილი პროექტით სისხ. სამ. კოდ. კერძო ნაწილში.

ი. როინაშვილი.

ახალი რამ საკორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტში.

ამ მოკლე ხანში ცაკის მე IV მოწვევის მე-2 სესიას წარედგინება განსახილველად და საბოლოოდ დასამტკიცებლად პროექტი საკორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსისა. ამ პროექტის შემუშავებას წინ უძღოდა დიდიხანი ს განმავლობაში დისკუსიები, რომელშიდაც მსურველი მონაწილეობა მიიღო მშრომელთა ფართო მასამ და გამოსთქვა აზრი, თუ როგორი უნდა იყოს კანონი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, რომ ის გამოხატავდეს მუშებისა და გლეხების ინტერესებს და ხელს უწყობდეს რევოლიუციის მონაპოვრის განმტკიცებას და განვითარებას ქორწინებისა და ოჯახის სფეროში. ვინაიდან ეს პროექტი წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტს და შეიცავს ბევრ ცვლილებებს შედარებით ამ ჟამად მომქმედ კანონთან № 28 1921 წელში გამოცემულ დეკრეტის სახით, ინტერესს მოკლებული



არ იქნება მიუთითოთ მკითხველს ზოგიერთ ამ ცვლილებებზე, რომელთაც აქვთ პრინციპიული ხასიათი.

თუმცა პროექტი არ იძლევა იურიდიულ ცნებას იმაზე, თუ რა არის ქორწინება, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ქორწინება უნდა იქნეს გატარებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოთა რეგისტრაციაში და ეს რეგისტრაცია შემოღებულია როგორც სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლება-ინტერესების დაცვის გასაადვილებლად (იხ. პროექტის 1-მუხლი), და აგრეთვე იმას, რომ ქონება ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო შრომით შექმნილი, შეადგენს ორთავეს საერთო ქონებას (პროექტ. მე-17 მუხლში) მავალთ იმ დასკვნამდე, რომ ქორწინებას მომავალი კოდექსის სთვლის იმ ბუნებრივ თავისუფალ კავშირად რომელიც სხვადასხვა სქესის პიროვნებისა, რომლის მიზანს შეადგენს შექმნა საოჯახო სამეურნეო ერთეულისა და რომელსაც საფუძვლად უდევს შრომითი პრინციპი. ქორწინებაზე ასეთი შეხედულებით აიხსნება ის, რომ პროექტი ათანაბრებს რეგისტრაცია და არა რეგისტრაციაქმნილ ქორწინებას და თვით ქორწინების ფაქტიდან გამოყავს უფლებრივი შედეგები, რომლებიც თან სდევნენ საზოგადოდ ქორწინებას და რითაც ის განსხვავდება სხვა სახის სქესობრივი კავშირისაგან, იმ კავშირისაგან, რასაც ხეობსენებული მიზანი დასახული არა აქვს და ამიტომ ვერავითარ იურიდიულ შედეგებს ვერ წარმოშობს, თუ ასეთი კავშირს შედეგად არ მოჰყვა ქალის დაორსულება ან ბავშვის დაბადება. აი ის მთავარი და ახალი, რომელიც პროექტს შემოაქვს ფაქტიურ ქორწინების შესახებ და რომლის დასამტკიცებლად იგი მოითხოვს ერთად ცხოვრების ფაქტს, საერთო მეურნეობას ერთად ცხოვრების დროს და ცოლ-ქმრული ურთიერთობის გამოამჟღავნებს მესამე პირთა წინაშე (პროექტ. მე-19 მუხ).

ამრიგად პროექტი ერთ და იგივე მნიშვნელობას აძლევს როგორც რეგისტრაციაში გატარებულ, ისე ფაქტიურ ქორწინებას. რაც ნათლად ჩანს მთელი რიგი ცალკე მუხლებიდან, რომელთაგან ჩვენ დავასახელებთ ზოგიერთ მთავარ მათგანს. ასე მაგ., მე-6 მუხლი ამბობს, რომ არ შეიძლება ქორწინება იმ პირის, რომელიც უკვე დაქორწინებულია რეგისტრაციაში გატარებული ან ურეგისტრაციო ქორწინებით; აქედან ცხადია, რომ თუ ასეთი ქორწინებას ექნა ადგილი, იგი თანახმად კოდექსის პროექტის მე-9 მუხლისა ჩაითვლება ბათილად. პრ. მე-18 მუხლი ავრცელებს 17 მუხლის ძალას აგრეთვე ისეთ პირთა ქონებაზე, რომელნიც იმყოფებიან ფაქტიურ ქორწინებაში, მე-17 მუხლში კი ნათქვამია ისეთ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნოდა მეუღლეს ქორწინებამდე (ეს დარჩება მის კერძო ქონებად) და აგრეთვე იმ ქონებაზე, რომელიც შექმნილი იქნა მეუღლეთა მიერ საერთო შრომით ქორწინების განმავლობაში და შეადგენს ორთავეს საერთო ქონებას. პრ. მე-24 მუხლი სარჩოს მიღების უფლებას როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე ქორწინების მოსპობის შემდეგაც ანიჭებს აგრეთვე იმ პირთაც, რომელთაც თუმცა რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ თავისი ურთიერთობა, მაგრამ ფაქტიურად შეუღლებული არიან. ასეთია პროექტის შეხედულება ფაქტიურ ქორწინებაზე.

მეორე ცვლილება, რომელიც შემოაქვს კოდექსის პროექტს მდგომარეობს იმაში, რომ აკრძალულია ქორწინება არა მარტო პირდაპირი მავალი ან შთამავალი შტოის ნათესავთა შორის (მამისა და ქალიშვილის, დედისა და ვაჟიშვილის, პაპისა და შვილიშვილის შორის და სხვ), როგორც ეს გამოსახულია ამჟამად მოქმედ კანონში (დეკრეტი № 28), არამედ გვერდითი შტოის ოთხი თაობის ნათესავთა შორისაც (ბიძაშვილებსა, დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის), რაც გამოწვეულია ჩვენი სინამ-


დვილის პირობებით და რაც უფრო შეეფერება ჩვენი ხალხის შეხედულებას ნათესაობაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც პროექტი უშვებს გამონაკლისს და ანიჭებს მამრის აღმასრულებელ კომიტეტს უფლებას, მოქალაქეთა ყოფაცხოვრების პირობების მიხედვით, ნება დართოს ქორწინებაზე კვერდითი შტოის მესამე და მეოთხე თაობის ნათესავთა შორისაც.

აქვე შეაძლება აღინიშნოს, რომ პროექტი სცვლის საქორწინო ასაკს და ასეთად აწესებს: ქალებისათვის 16 წელს, ხოლო მამაკაცებისათვის 18-ს; დღეს მოქმედი კანონი კი ასეთ ასაკად ქალებისათვის სთვლის 15 წელს, ხოლო ვაჟებისათვის 17-ს.

ახალაა აგრეთვე დებულება, პროექტის მე-17 მუხლში გამოსახული, რომ ქონება, რომელიც ეკუთვნოდა მეუღლეს ქორწინებამდე, რჩება მის კერძო ქონებად, ხოლო ქონება შექმნილი მეუღლეთა მიერ საერთო შრომით ქორწინების განმავლობაში, შეადგენს ორთავეს საერთო ქონებას. თვითეული მეუღლის წილს, - იმ შემთხვევაში, თუ აღიძრება დავა, - განსაზღვრავს სასამართლო. ცოლის შრომა, გაწეული ოჯახური საქმის და შვილების მოსაყვლად, იმავე უფლებას ანიჭებს ცოლს ქონებაზე, რასაც კი ანიჭებს ქმარს მისი შრომა, გაწეული ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად. ამ დებულებას საფუძვლად უდევს ქორწინებაზე ზემოდ მოცანილი შეხედულებიდან გამომდინარე შრომითი პრინციპი, რომლის მიხედვით იქმნება ქონება, როგორც ნაყოფი ცოლ-ქმრული შრომისა ოჯახში. აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ქმარი მუშაობს გარედ და შოულობს ცხოვრების სახსარს ოჯახისათვის, ცოლი კი ეწევა ოჯახურ საქმეს და უწლის ბავშვებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქალი უნაწილებს ქმარს შრომას და ქმნის მისთვის იმ ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც მას უადვილებენ სახსრის შოვნას და ამ ნაშრომის ეკონომიურად გამოყენებას. ამ თვალსაზრისით ქონების შექმნაში ქალი იღებს არა ნაკლებ მონაწილეობას, ვიდრე ქმარი, და ამიტომ სრულიად სამართლიანია, რომ ეს ქონება, როგორც შედეგი ცოლ-ქმარის საერთო შრომისა ოჯახში, შეადგენდეს მათ საერთო კუთვნილებას.

საკულისხმოა აგრეთვე დებულება, გამოთქმულია პროექტის მე-22 მუხლში აღიზნებების შესახებ. გაჭირვებულ და შრომის უნარმოკლებულ მეუღლეს უფლება აქვს მოსთხოვოს სარჩო მეორე მეუღლეს, უკეთეს სასამართლო სტნობს, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია დახმარების აღმოჩენა. სარჩოს მოთხოვნა შეუძლიან აგრეთვე შრომის უნარიან გაჭირვებულ მეუღლესაც უმუშევრობის დროს. აქ ივლენსხმება ისეთი მდგომარეობა, როდესაც განქორწინებას თუმცა არა აქვს ადგილი, მაგრამ ფაქტიურად ქმარი სრულიად უნატრონოდ სტოვებს თავის უნარმოკლებულ ანუ შრომის უნარიან, მაგრამ საკუთარი შემოსავლის არა მქონე (მაგ., დიასახლისი) ცოლს და არ უწევს მას საჭირო დახმარებას არსებობისათვის.

ამ მუხლის ძალას პროექტი ავრცელებს აგრეთვე გაჭირვებულ და უმუშევარ მეუღლეს ქორწინების მოსპობის შემდეგაც და ამას შემდგენიარად გამოხატავს მე 23 მუხლში: განქორწინების შემდეგ გაჭირვებულ მეუღლეს უფლება აქვს მიიღოს თავის ყოფილ მეუღლისაგან სარჩო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დაჰკარგა შრომის უნარი ქორწინებამდე, ან ქორწინებაში ყოფნის დროს ან და არა უგვიანეს ერთი წლისა განქორწინების შემდეგ, აგრეთვე უმუშევრობის დროსაც ერთი წლის განმავლობაში დღიდან განქორწინებისა. ამ უკანასკნელ დებულებაში გატარებული აზრიდან შეიძლება გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ პროექტს მიზნათ აქვს მისცეს ქორწინებას მეტი მტკიცე ხასიათი და არ გახადოს ის არაკეთილსინდისიერ პირობისათვის ქორწინების ბუნებიდან არ გამომდინარე მიზნების მისაღწევ საშუალებად.



საქორწინო კოდექსის პროექტი შეიცავს კიდევ ბევრ სხვა ახალ და საგულისხმო დებულებებს, თუნდაც მაგ., სამეურვეო დარგიდან, რომელთაგან თვითეული მათგანი წარმოადგენს მეტად სა-ნტერესო ცალკე საკითხს, მაგრამ ყველა მათზე შეჩერება ერთ წერილში, რომლის მიზანს ამასთანავე არ შეადგენს მთელი პროექტის განხილვა, ამჟამად შეუძლებლად მიგვაჩნია და ამიტომ ამ ზოგადი მაგრამ მთავარი შენიშვნებით, ვათავებთ ამ წერილს.

ა. კოსტავა.

კომლის ქონებიდან კომლის წევრის ბავშვის უფლები სარჩოს მიღებისა.

არც მიწის კოდექსში და არც მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების შესახებ 28 № ით დეკრეტში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც იძლეოდეს პირდაპირ პასუხს, რამდენად შესაძლებელია ბავშვის სარჩო იქნეს უზრუნველყოფილი კომლის ქონებიდან, როდესაც მის მშობელს—კომლის წევრს არ აქვს საკმარისი ქონება იმისათვის, რომ დაუარულ იქნეს ამ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად საჭირო ხარჯი.

უდავოდ უნდა ვიცნოთ ის დებულება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრის პირადი ქონება არ არის საკმარისი, რომ მოსვან სასესიებით დაკმაყოფილებულ იქნეს სასამართლოს მიერ ცნობილი პრეტენზია ბავშვის სარჩოს შესახებ, ეს დაკმაყოფილება უნდა იქნეს მიღებული კომლის ქონებიდან. ამ შემთხვევაში უნდა ვიქონიოთ მხედველობაში შემდეგი.

თუმცა კომლის ქონება კომლის ყველა წევრის სარგებლობის საგანია, თუმცა ეს ქონება კომლის ყველა წევრის საკუთრებაა და თვითეული წევრის წილი ამ ქონებაში არ არის განსაზღვრული, მაგრამ აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ არ შეიძლებოდეს კომლის ქონებაში იმ ნაწილის განსაზღვრა, რაც უნდა ჩათვალოს კომლის წევრის ხვედრ წილად იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი წილის განსაზღვრა და გამოყოფა საჭიროებას წარმოადგენს. ასეთი საჭიროება არის მაშინ, როდესაც კომლი იყრება ან კომლის წევრი გამოიყოფა და თვითეულმა წევრმა უნდა მიიღოს ხვედრი წილი. მაგრამ გარეშე ამ შემთხვევისა არის სხვა შემთხვევა.

აქ უნდა აღინაშნოს ის შემთხვევა, რაც შეადგენს ჩვენს დღევანდელ ინტერესს. კომლის წევრის ხვედრა წილის განსაზღვრის საჭიროება არის აგრეთვე მაშინ, როდესაც მისი პირადი ქონება არ არის საკმაო იმისათვის, რომ იქიდან გადახდევინებულ იქნეს მასი შვილის ან შვილების სასარგებლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სარჩო. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ კომლის ქონებიდან იქნეს გამოყოფილი კომლის წევრის ხვედრი წილის ნაწალი. კომლის რა ქონებიდან შეიძლება ასეთი წილის გამოყოფა?

ის შემთხვევა, როდესაც საჭიროა კომლის საერთო ქონებიდან კომლის წევრის ხვედრითი წილის განსაზღვრა ბავშვის სარჩოს დასაკმაყოფილებლად, განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, როდესაც უნდა იქნეს დაკმაყოფილებული კომლის წევრა კომლის გაყრისა ან კომლიდან მისი გამოყოფის გამო. უკანასკნელ შემთხვევაში სრულად უნდა იქნეს განსაზღვრული კომლის წევრის წილი კომლის საერთო სარგებლობის ქონებაში, ე. ი. კომლის ქონებაში, რომელშიაც შედის როგორც სამეურნეო იარაღები (უსულყო და სულიერი), ისე სხვა სახმარებელი და მოსახმარებელი ნივთები (შენობა, სურსათი, სანოვავე და სხვა) მაგრამ როდესაც ჩვენ გვაქვს საქმე იმ შემთხვევასთან, რომ კომლის წევრის ბავშს უნდა მიეცეს კომლის ქონებიდან წილი მის სარჩოთი დასაკმაყოფილებლად არ შეიძლება დაისვას საკითხვი მთელი წილის განსაზღვრის შესახებ. რაც კომლის წევრს უნდა ერგოს.

როდესაც საკითხი ისმება იმის შესახებ, რა ქონებიდან უნდა იქნეს გამოყოფილი კომლის წევრის წილი მის ბავშვის დასაკმაყოფილებლად, უნდა ვინებმდვანელოთ კომლის მეურნეობის ინტერესებით. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა განხილულ იქნეს ორი შემთხვევა, რომელიც შეეხება კომლიდან გამოყოფის გამო მის წევრთა ხვედრა წილით დაკმაყოფილებას. ერთი შემთხვევა მდგომარეობს კომლის ქონებიდან შესაფერი წილის ნატურად გამოყოფაში, მეორე კი-ხვედრი წილის ფულად მიღებაში.

კომლის წევრის ხვედრი წილის ნატურად გამოყოფა შესაძლებელია არა ყველა შემთხვევაში, როდესაც კომლიდან ეს თუ ის წევრი გამოიყოფა. ასეთი შესაძლებლობა რამოკიდებულია იმაზე, რა გავლენას მოახდენს კომლის ქონების ნატურათ გამოყოფა იმ მეურნეობაზე, რომელიც მიუხედავად გამოყოფისა განაგრძობს მოქმედებას. იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის ქონების გაყოფა ნატურათ გამოიწვევს მეურნეობის დაუძღურებას, ასეთი გაყოფა ან გამოყოფა უნდა იქნეს მიჩნეული არა მიზანშეწონილად. ამ შემთხვევისათვის სახელმძღვანელო ნორმის წარმომადგენს მიწის კოდექსის 57 მუხლ., სადაც დადგენილია შემდეგი: „უკეთეს კომლის ქონების გამოყოფის დროს საქმე დავის გამო რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიამდე მივა და ეს უკანასკნელი გადასწყვეტს გამოყოფის მსურველის ფულით დაკმაყოფილებას, რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიას არ შეუძლიან გამოყოფის მსურველს გადაუწყვეტოს კომლის საერთო ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი; კომლში დარჩენილთა მოთხოვნით განაყოფის დაკმაყოფილება შეიძლება ნაწილ-ნაწილ ხუთი წლის განმავლობაში, უსასყიდლოდ“. მოყვანილი დებულება ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ამტყუდარია დავა კომლის ქონების გაყოფის გამო, და არ შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც კომლის ქონების გაყოფა სწარმოებს შეთანხმების საფუძველზე. კომლის წევრთა შეთანხმებით შეიძლება კომლის ქონება ისე იქნეს გაყოფილი, როგორც ამას შეთანხმებაში მონაწილე კომლის ყველა წევრი მოისურვებს.

დავის განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლო ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რამდენად შეიძლება დაუძღურდეს მეურნეობა, თუ კი მოხდა კომლის ქონების ნატურათ გაყოფა. შესაძლებელია, რომ სინამდვილეში, ფაქტიურად კომლის ქონება ნატურად გაიყოს ამ შემთხვევაში თითქმის არ უნდა იყოს დაბრკოლება, რომ ქონება იქნეს გაყოფილი ნატურათ. მაგრამ საკითხის ასე დასმა იქნებოდა საშხაბურის გაწევა მეურნეობის დაუძღურებისათვის. თუ კომლი შესდგება ორ ოჯახისაგან და ისინი ისე იყრებიან, რომ მხოლოდ ერთ ოჯახს რჩება მიწა, მეორე კი მეურნეობას თავს ანებებს, ამ შემთხვევაში მიუღებელია, რომ უკანასკნელმა მოითხოვოს კომლის ისეთი ქონების ნატურად გამოყოფა, რომელიც მაგ., შესდგება ორ ხარისაგან ან ორ სამუშაო ცხენისაგან და ისეთ საგნებისაგან, რომელთა შორის ერთი საგანი მეორე საგნის ანგარიშში თუმცა ჩაითვლება (იხ. მიწის კოდექსის 50 მუხ.) მაგრამ ეს უკანასკნელი საგნები იმდენად მკირეა, რომ მათი დაკლება, შენეობა და ასუსტებას მეურნეობას. ცხადია, რომ სასამართლო ვერ გაიზიარებს იმ აზრს, რომ გაყოფა მოხდეს ნატურათ.

იმავე საზომით უნდა მივუდგეთ კომლიდან გამსვლელი წევრთათვის ხვედრი წილის ფულით დაკმაყოფილების საკითხს. ამ შემთხვევისათვის სახელმძღვანელოს უკვე დასახლებული ნორმა მიწის კოდექსის 57 მუხ., რომლის ძალით სასამართლო კოლეგიას არ შეუძლიან გამოყოფის მსურველს გადაუწყვეტოს კომლის საერთო ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი და კომლში

დარჩენილთა მოთხოვნით განაყოფის დაკმაყოფილება შეიძლება ნაწილ-ნაწილ ხუთი წლის განმავლობაში, უსარგებლოდ.

ამრიგად თუ კომლიდან ცალკე წევრის გამოყოფისას ანგარიში ეწვევა მეურნეობის ინტერესებს, მით უმეტეს დასაცავია მეურნეობის ინტერესი იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კომლის წევრის ბავშვის სარჩოთ დაკმაყოფილებას კომლის ქონებიდან. რადგანაც ამ შემთხვევაში კომლიდან მისი წევრის გამოყოფაზე არ არის ლაპარაკი, არამედ ამ წევრის ხვედრ წილიდან მის ბავშვის სარჩოთ დაკმაყოფილებაზე, ცხადია, რომ ის საგნები, რომლებიდანაც უნდა იქნეს დაკმაყოფილებული კომლის წევრის შვილი, არ შეიძლება ეკუთვნოდეს იმ ნივთების რიცხვს, რომლებიც უშუალოდ კომლის მეურნეობას ემსახურებიან.

აღნიშნულ თვალსაზრისს ეყრდნობა იუსტიციის სახლო კომისარიატის მიერ დამუშავებული საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პროექტის მე-66 მუხლი, რომლის მიხედვითაც მოყვანილ შემთხვევაში (თუ სარჩო ბავშვისათვის უნდა გადახდეს საგლეხო მეურნეობის (კომლის) წევრს და თუ ამ უკანასკნელის პირადი სახსარი საკმარისი არ არის ბავშვის უზრუნველსაყოფად) ბავშს ენიჭება უფლება მიიღოს სარჩო კომლის საერთო ქონების იმ ნაწილიდან, რომელიც კომლის აღნიშნულ წევრს ერგება. ამ მუხლის მეორე ნაწილი იმას განსაზღვრავს, კომლის რა ქონებიდან უნდა იქნეს გასატუმრებული ბავშვის სარჩო. აქ არის დადგენილი, რომ სარჩოთ ბავშვის დაკმაყოფილებლად გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ ფულზე და მეურნეობის პროდუქტებზე. ამ დადგენილებაში აღნიშნული ქონება ისეთ საგნების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც უშუალოდ არ ემსახურებიან კომლის მეურნეობას. მართალია, ეს ქონება შეიძლება მოხმარდეს კომლის მეურნეობას, გარდა მათი იმ ნაწილის, რამაც უნდა ემსახუროს კომლის წევრთა პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს შესაძლებლობა და მათი მოხმარების აუცილებლობა იმ შემთხვევაში კი, როდესაც მეურნეობა მოითხოვს მათ გამოყენებას მის გასაძლიერებლად ან ნაკლის მოსასპობად, არ უნდა იყოს ცნობილი კანონიერ დაბრკოლებათ, რომ კომლის წევრის ბავშმა მიიღოს ის საზრდო, რასაც ის მიიღებდა, მშრომელთან რომ ცხოვრობდეს. ასეთივე ნორმა არსებობს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში, რომელიც იქნა გამოცემული ხსენებული კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ რ. ს. ფ. ს. რ. სრულიათ რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. დადგენილებით (იხ. კოდექსის 56 მუხ.).

არც რუსეთის კანონში და არც საქართველოს ს. ს. რ. იუსტიციის სახ. კომისარიატის კანონპროექტში არ არის განსაზღვრული რა ნაწილი უნდა გამოეყოს ბავშს იმ წილიდან, რომელიც ერგება მის მშობელს—კომლის წევრს. ასეთი განსაზღვრა არც არის საქორწინო და მიზანშეწონილი. ამ შემთხვევისათვის მოქმედობს საერთო დებულება, რომლის მიხედვით თუ ნაწილი უნდა იქნეს განსაზღვრული მოვალე პირის ქონების რაოდენობის და მის ბავშვის საჭიროების მიხედვით. შეიძლება, რომ არა ერთი, რამედ რამდენიმე ბავშვი იყოს დასაკმაყოფილებელი. ფაქტიური მდგომარეობა შეიძლება იყოს სხვადასხვა, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა, რომლის აწონ დაწონას კანონმდებელი ხდის სასამართლოს გამგებლობის საგნათ. ამიტომაც სასამართლოს დიდი ყურადღება მიეთხოვება, როდესაც ის შეუდგება ფაქტიურ მდგომარეობის გამოკვლევას ბავშვის სარჩოს რაოდენობის განსაზღვრისა და მისჯისათვის.

კ. მიქელაძე.

სამოქალაქო სამართლის საპროექტის კოდექსის 173 მუხ. შეფარდება.

სამოქ. სამართ. საპროექტ კოდექსის მე-XVII თავში, რომელიც შეეხება რამდენიმე მოსარჩლისა ან მოპასუხის მონაწილეობას პროცესში, მოთავსებულია 173 მუხ. ამ მუხლის შინაარსი შემდეგია: „უცეთუ სასამართლოში წარმოებს რამდენიმე ისეთი საქმე, სადაც ან მოსარჩლე მხარეზე ან მოპასუხე მხარეზე მონაწილეობას ერთი და იგივე პირები იღებენ, სასამართლოს შეუძლიან ეს საქმეები შეაერთოს თა დაადგინოს, რომ ყველა საქმე ერთად გაიჩრეს“. ამ მუხლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს მის წარმოებაში მყოფი რამდენიმე საქმე შეაერთოს და ერთად გაიჩროს, მაგრამ ასეთი, შეერთებისათვის საჭიროა, რომ ყველა შესაერთებელ საქმეში ერთი და იგივე პირი იღებდეს მონაწილეობას ან ერთ ან მეორე მხარეზე. შემთხვევები კი, როდესაც სასამართლოს შეუძლიან საქმეები შეაერთოს, შემდეგია: 1) როცა ერთსა და იმავე პირს აქვს რამდენიმე საქმე ერთსა და იმავე პირის წინააღმდეგ; 2) როცა ერთსა და იმავე პირს აქვს რამდენიმე საქმე სხვადასხვა პირის წინააღმდეგ; 3) როცა რამდენიმე სხვადასხვა პირს აქვს რამდენიმე საქმე ერთსა და იმავე პირის წინააღმდეგ და 4) როცა ორ მხარეს შორის წარმოებს რამდენიმე საქმე და ერთ საქმეში მოსარჩილე გამოდის მეორე საქმეში მოპასუხედ.

საქმეების ერთ წარმოებაში შეერთების მიზანი პროცესის გამარტივებაა. ასეთი შეერთება იძლევა საშუალებას მხარეთა შორის ყველა სადაო პრეტენზია გადაწყდეს ერთ პროცესში. ასეთ შემთხვევებში რამდენიმე წარმოების მაგიერ გვექნება ერთი წარმოება, სხდომების რიცხვი შესამჩნევად შემცირდება, მოსარჩლეს და მოპასუხეს არ დასჭირდება სასამართლოში გამოცხადება რამდენიმეჯერ, არც სასამართლოს დასჭირდება მათი გამოწვევა ორჯერ და სამჯერ.

შესაძლებელია რომ ერთსა და იმავე პირის წინააღმდეგ რამდენიმე პირის მიერ იქნეს აღძრული ანალოგიური სარჩილები (მაგალ., ერთმა პირმა თავისი ერთი მოქმედებით დააზარალა რამდენიმე პირი) და ამ საქმეებზე იქნენ დასახელებული ერთი და იგივე მოწმეები. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საქმეები იქნენ შეერთებული, მოწმეები დაიკითხება ერთჯერ, მხარეები ერთჯერ მისცემენ განმარტებას და საქმეზე იქნება გამოტანილი ერთი გადაწყვეტილება.

მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა საქმეების შეერთება გარეგნული პირობების მიხედვით დასაშვებია, მაგრამ საქმის შინაარსის მხრივ კი მიუღებელია. მაგ., ერთსა და იმავე მოსარჩლეს აქვს ორი საქმე ერთსა და იმავე მოპასუხის წინააღმდეგ. ერთი სარჩელი დამყარებულია პროტესტქმნელ თამასუქზე, ხოლო მეორე სარჩელს საფუძვლად უდევს ამხანაგობის ხელშეკრულება. ეჭვი არ არის, რომ ამ ორი საქმის შეერთება არ იქნებოდა პროცესის გამარტივება. ასეთი შეერთება თამასუქზე დამყარებული უდავო სარჩელის ბედს დაუკავშირებდა ისეთ საქმეს, რომელიც მოითხოვს რთულ გამოკვლევას, და ამით აღნიშნულ მარტივ საქმესაც გაართულებდა.

ამიტომ 173 მუხლი სასამართლოს კი არ ავალებს საქმეების შეერთებას და ერთად განხილვას ყველა იმ შემთხვევაში, როცა წარმოებს რამდენიმე საქმე, სადაც მოსარჩილე და მოპასუხე მხარეზე მონაწილეობას ერთი და იგივე პირები იღებენ, არამედ აძლევს მხოლოდ უფლებას ასეთები შეაერთოს. სასამართლოზე დამოკიდებული ისარგებლებს იგი ამ უფლებით, თუ არა. საქმეების შეერთების შესახებ შეუძლიან აღძრას შუამდგომლობა როგორც ერთს ისე მეორე მხარეს, მაგრამ სასამართლოსათვის მხარეების შუამდგომლობა სავალდებულო არ არის. მართალია, სამ. სამ. საპრ. კოდ. 37 მუხ. „ბ“ პუნქტის

ქოთა სამართალი მფლობელობის ინსტიტუტს არა სცნობდეს საერთოთ და ამიტომ არც რაიმე დავა დაიშვებოდეს მფლობელობაზე საბჭოთა სასამართლოში.

მფლობელობა გაცილებით უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე **მფლობელობის დაცვა**. მფლობელობას საკმაოდ დიდი და საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა სამოქალაქო სამართალში, ხოლო მფლობელობის დაცვა კი შემოღებული და დაწესებული არ არის. მფლობელობაზე სამოქალაქო სამართლის კოდექსი ხშირად პირდაპირ ლაპარაკობს და განასხვავებს ერთმანეთისაგან მის სხვადასხვა სახეს, კანონიერს და უკანონო მფლობელობას, კეთილსინდისიერ და არა კეთილსინდისიერ მფლობელობას (მ.მ. 58,59,62,182 და სხვ.) ხოლო უფრო ხშირათ უჩვენებს მფლობელობის უფლებრივ შედეგებს ისე, რომ თვით სიტყვას **მფლობელობას** არა ხმარობს და ლაპარაკობს ქონების ან ნივთის „**გადაცემაზე**“ (მ.მ. 60,93,98,183,186 187,188,191 და სხვ.)


მფლობელობის დაცვას, როგორც სამოქალაქო სამართლის სპეციალურ ინსტიტუტს, სრულიად გარკვეული და დასრულებული შინაარსი აქვს. მფლობელობის დაცვა გულისხმობს ნივთზე პირის ფაქტიურ ბატონობის დაცვას იმის განუკითხავათ, თუ რა უფლება უძევს საფუძვლათ ამ ფაქტიურ ბატონობას; უფრო სწორათ რომ ვთქვათ, მფლობელობის დაცვა არის ნივთზე განხორციელებული ბატონობის ისეთი დაცვა, რომელიც ეძლევა პირს განსაზღვრულ ფაქტიურ მდგომარეობის საფუძველზე უფლებრივ საკითხებისათვის შეგნებულათ და განზრახ გვერდის აქცევით. აი ამგვარ მფლობელობის დაცვას, წოდებულს რომის სამართლის ტერმინოლოგიის თანახმათ საინტერდიქტო დაცვათ, არა სცნობს საბჭოთა სამოქალაქო სამართალი. მაგრამ **მფლობელობის დაცვა** თუ ვნებავთ, ამ თავის რომაულ მნიშვნელობით არ ამოწურავს მფლობელობის მთელ შინაარსს და ამიტომ მფლობელობის დაცვის გამოტოვება საბჭოთა სამოქალაქო სამართლის სისტემიდან მფლობელობის ინსტიტუტის უარყოფათ არ უნდა ჩაითვალოს.

სამართლის თეორია, უმთავრესად საეინის და იერინგის მიერ რომაულ მფლობელობის (possessio, jus possessionis) მეცნიერულ გამოკვლევათა გავლენით, ჩვეულოა იმ შეხედულებას, რომ მფლობელობის იურიდიული მნიშვნელობა ამოიწურება იმის დაცვით, ხოლო თუ მფლობელობა კანონში ნაჩვენებ ვადის განმავლობაში გაგრძელდა და ამასთან აკმაყოფილებს განსაზღვრულს, აგრეთვე კანონის მიერ ნაჩვენებ თვისებებს, ვადიქცევა საკუთრების უფლებათ (შემეინილობითი ხანდაზმულობა). მაგრამ ეს ვიწრო მნიშვნელობა ახასიათებს რომის სამართლის მფლობელობას და არა მფლობელობას საერთოთ. ევროპის ქვეყნებში საშუალო საუკუნეთა პირველ ხანაში რომის სამართლის რეკეპციამდე, მფლობელობას არსებითად სხვა შინაარსი და მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რომის მფლობელობას. ევროპის ხალხთა შეგნებით, როგორც ეს გამორკვეის იურიდიულ მეცნიერებაში ე. წ. გერმანისტებმა, (ალბრეხტ, ლაბანდ, ჰეისლერ, გირკე, მიერ, შულცე, ჰიუბნერ და სხვებმა), მფლობელობა იყო არა ფაქტიური ბატონობა ნივთზე, არამედ სანივთო უფლების სამოსელი, ამ უფლების გამოვლინება დასახან, საჩენს გარეგნულს ფორმაში. იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდა მფლობელობას არა თავისით, როგორც ფაქტიურ მდგომარეობას, არამედ მხოლოდ იმ სანივთო უფლების წყალობით, რომელიც მფლობელობის ფაქტში გარეგნულათ გამოემჟღავნებოდა.

ევროპიულ ხალხთა ამ შეხედულების ევოლუციამ დაამყარა თანამედროვე ევროპიულ სამართალში ორი ურყევი და მტკიცე დებულება, რომელიც მიღებული აქვს აგრეთვე საბჭოთა სამოქალაქო სამართალს ეს დებულებები შემდეგია: ა) ნივთის ფაქტიური მფლობელობა არის საფუძველი იმ პირის სანივთო უფლების პრეზუმპციისთ-

ვის, ვისაც ნივთი თავის მფლობელობაში აქვს და ბ) ნივთის მფლობელობა ანიჭებს მფლობელ ლეგიტიმაციას სანივთო უფლების გასხვისებისთვის, თუნდაც თითონ მას სანივთო უფლება არ ეკუთნოდეს, და მიტომ შესაძლებელია სანივთო უფლების შექმნა არა-მესაკუთრისაგანაც, თუ კი ნამდვილ მესაკუთრეს ნივთის მფლობელობა უნებურათ, ე. ი. წართმევის ან დაკარგვის მიზეზით არ გამოეცალა ხელიდან (გერმანულ სამართლის Abhanden-erkommen-ის ინსტიტუტი) ამ ორ დებულების შუა განუყრელი ლოლიკური კავშირი არსებობს. გასხვისების ლეგიტიმაცია და სანივთო უფლების (საკუთრების) პრეზუმპცია ერთმანეთისაგან განუშორებელნი არიან. მფლობელს იმიტომ შეუძლიან ნივთის გასხვისება, რომ იმის მფლობელობა უფლების მაჩვენებელია გარეშე პირების თვალში, ხოლო მფლობელობა უფლების მაჩვენებელია იმიტომ, რომ მფლობელობა იგულისხმება უფლების სამოსელით (საფრანგეთის სამოქალაქო დებულების 2279 მუხლით ტიტულათ), და ვინც უფლების პატრონათ იგულისხმება, მას უნდა შეეძლოს კიდევ თავისი უფლება სხვას გადასცეს. ეს ორი დებულება თანამედროვე სამართალში ერთისა და იგივე იურიდიულ აზრის სხვადასხვა ნაირი გამოთქაა. ამიტომ სადაც ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური სამართალი ერთ-ერთ ამ ორ დებულებიდან გარკვეულათ და ცხადათ აღიარებს გამოცემულ კანონთა ტექსტში, იქ მეორე დებულებაც აღიარებულათ და სამართლის მიერ მიღებულათ უნდა იქნეს ცნობილი, თუნდაც სიტყვიერი ტექსტი კანონების ამ აღიარებას არ შეიცავდეს.

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59 და 60 მუხლებში გარკვეულად არის გამოთქმული ის დებულება, რომ ნივთის ფაქტიურ მფლობელს მინიჭებული აქვს შესაძლებლობა გაასხვისოს ეს ნივთი, თუნდაც მას სანივთო უფლება არა ჰქონდეს, და რომ მფლობელისაგან საკუთრების უფლების შემქმნელ ნამდვილათ შეიძენს საკუთრებას იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა ნამდვილ მესაკუთრეს „ქონება (ე. ი. ნივთი) დაეკარგა ან წაერთვა“. არავითარ ეჭვს არ იწვევს ეს დებულება არც სასამართლოთა პრაქტიკაში, არც იურიდიულ ლიტერატურაში. მაგ. გოიხბარგი, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის ფაქტიური შემდგენელია, თავის წიგნში „Хозяйственное право“ I ტომში პირდაპირ საკუთრების შექმნის ერთ-ერთ სახეთ სთვლის არა მესაკუთრისაგან საკუთრების შექმნას. ეს უფლება, რომელიც ეკუთვნის ნივთის არა მესაკუთრე მფლობელს, უფლება გადასცეს სხვას ის, რაც თითონ არ აქვს, წინააღმდეგ რომის სამართლის დებულებისა nemo plus juris transferre potest quam ipse habet (არავის შეუძლიან სხვას იმაზე მეტი უფლება გადასცეს, ვიდრე თითონ აქვს), წოდებული ზოგიერთ გერმანელ ცივილისტების მიერ (მაგ. კოზაკის მიერ) Scheheirecht-ათ (მოჩვენებითი უფლება) არის სწორეთ იმ გასხვისების ლეგიტიმაცია, რომელსაც მფლობელობა იძლევა. ხოლო რადგან ამ გასხვისების ლეგიტიმაციას საბჭოთა სამართალი ასე გარკვევით და პირდაპირ ანიჭებს ნივთის მფლობელს, სრულიად ბუნებრივია დასკვნოდ იქნეს, რომ მფლობელობა ცნობილ უნდა იქნეს საერთოდ სანივთო უფლების, ხოლო კერძოთ საკუთრების პრეზუმპციის საფუძვლათ. ასეთი დასკვნა გამოაქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს ს.ს.კ. 59 და 60 მუხლებიდან (იხ. 1926 წლ. 3 თებერვლის დადგენილება გრიგოლ თავდგირიძის საქმეზე, გამოქვეყნებული 1926 წ. № 7-8 „მოამბეში“ გვ. 80-81). ეს დასკვნა დამყარებულია, როგორც მფლობელობის ინსტიტუტის მოკლეთ გადმოცემულ განვითარების ისტორიიდან ჩანს, მფლობელობის ორი ფუნქციის, გასხვისების ლეგიტიმაციის და საკუთრების პრეზუმპციის, ლოლიკურ განუყრელობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დასკვნა, გამოტანილი ს.ს.კ. 59 და 60 მუხლების ტექსტიდან, დიდ პრაქტიკულ ინტერესს




წარმოადგენს, ვინაიდან ამით იხსნება გზა მფლობელობის დაცვისთვისაც, მართალია არა რომაულ საინტერდისტიტო დაცვის მნიშვნელობით, არამედ იმ თავისებური მნიშვნელობით, რომელსაც გერმანელი ცივილისტები პეტიტორულს უწოდებენ, მაგრამ მინც მფლობელობის დაცვის და აღდგენისთვის. საინტერესოა, რომ საქ. უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს ზემოსენებულ დადგენილებაში მფლობელობაზე საკუთრების პრეზუმპციის დამყარება გამოყენებულია სწორედ მფლობელობის აღდგენის სარჩელის იურიდიულ გამართლებისათვის.

პრეზუმპციას სამართალში იურიდიული ძალა და მნიშვნელობა აქვს იმ დრომდე, ვიდრე საწინააღმდეგო უფლებრივი მდგომარეობა დამტკიცდებოდეს. პრეზუმპციის სარგებლობა მოაქვს სამოქალაქო ცხოვრებაში, რომ ვის საკეთილთაგან პრეზუმპცია არსებობს, ის თავისუფალია დამტკიცებათა წარსადგენათ იმ უფლებრივ მდგომარეობის დასადასტურებლათ, რაც პრეზუმპციით იგულისხმება. ვინც ფიქრობს, რომ მოცემულ ინდივიდუალურ შემთხვევაში პრეზუმპცია სამართლეს არ შეეფერება, დამტკიცებათა წარდგენის ტვირთიც მთლიანათ მას აწევბ. ვინაიდან მფლობელობა არის საკუთრების პრეზუმპცია, ამიტომ ნივთის ყოფილ მფლობელს შეუძლიან მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება მის ეხლანდელ მფლობელს და ამასთან თავისი მოთხოვნა დაასაბუთოს არა საკუთრების უფლების დამტკიცებით, არამედ საკუთრების პრეზუმპციის დამტკიცებით. საკუთრების პრეზუმპციის დასამტკიცებლათ, როგორც ზევით ვნახეთ, სრულიად საკმარისია მფლობელობის ფაქტი იქნეს დამტკიცებული. ამიტომ გარეშე პირის ხელიდან ნივთის გამოთხოვნა შესაძლებლათ უნდა იქნეს ცნობილი, როცა დამტკიცებულ იქნება, რომ უფრო უწინ, ვიდრე ნივთი ეხლანდელი მფლობელის ხელში ჩაგარდებოდა, ეს ნივთი ნივთის მომთხოვნელის მფლობელობაში იმყოფებოდა. უწინ მფლობელი პრეზუმპციის ძალით განიხილება როგორც მესაკუთრე იმ დროს, როცა ის მფლობელობდა; ხოლო ვისაც ნივთი ეხლა აქვს თავის მფლობელობაში, მას შეუძლიან ეს პრეზუმპცია დაარღვიოს, რისთვისაც მას მოეთხოვება წარადგინოს დამტკიცება ამ ნივთზე საკუთრების კანონიერად შეძენის შესახებ; ვიდრე ასეთი დამტკიცება არ იქნება წარდგენილი, უფლების პრეზუმპცია იმოქმედებს უწინდელ მფლობელის სასარგებლოთ, ხოლო შემდგომი მფლობელობა კი განიხილება, როგორც უკანონო. დავა, რომელიც ამ წესით სწარმოებს ყოფილ და ეხლანდელ მფლობელთა შორის, არსებითად არის დავა უფლების შესახებ, მხოლოდ ამ უფლების ნაცვლათ ერთი მხარე ამტკიცებს უფლების პრეზუმპციის საფუძველს, ე.ი. მფლობელობას, მეორე მხარეს კი შეუძლიან დაამტკიცოს ამ პრეზუმპციის უმართებულობა. მაძიებელი, როგორც აქედან ჩანს, იმყარება მფლობელობას და მკლობელობაზე დაფუძნებულ საკუთრების უფლებას, მოპასუხე კი ამ პრეზუმპციის დარღვევას ან გაბათილებას ცდილობს თუ მოპასუხემ ვერ მოახერხა მაძიებლის სასარგებლოთ გაკეთებულ პრეზუმპციის დარღვევა ან გაბათილება დავას წააგებს, სასამართლოს დადგენილებით ნივთი მას ჩამოერთმევა და გადაეცემა მაძიებელს, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებული იყო მხოლოდ უწინარესი მფლობელობა და არა საკუთრების უფლების არსებობა. ამნაირათ ყოფილ მფლობელს, რომელსაც მფლობელობა აღარ აქვს, შესაძლებლობა ეხსნება ეხლანდელ მფლობელის ხელიდან დაიბრუნოს ნივთი თავის საკუთრების უფლების დაუბტკიცებლივ, იმ ფაქტის დამტკიცებით, რომ ის უფრო უწინ იყო ნივთის მფლობელი. ამნაირ სარჩელს შეიძლება უწინარესი მფლობელობის სარჩელი, ვინაიდან დავის დროს საკუთრების პრეზუმპცია იმ მხარის სასარგებლოთ კეთდება, ვინც უწინ მფლობელობის უფლების მფლობელი.

უწინარესი მფლობელობის სარჩელი, რომელსაც იცნობს სხვათა შორის გერმანიის სამოქალაქო დებულება (B G B § 1007), რომაული პოსესორული ანუ საინტერდისტიტო სარჩელი არ არის. მათ შორის არის პრინციპიალური განსხვავება. საინტერდისტიტო ანუ პოსესორული სარჩელი არ ითმენს, რომ მხარეებმა თავის შეცილებანი უფლებაზე დაამყარონ; არა უფლება, არამედ მფლობელობის ფაქტი შეადგენს დავისთვის ერთად ერთ ვადამწყვეტ მომენტს. უწინარეს მფლობელობის სარჩელი კი არსებითად წარმოადგენს შეცილების დამყარებას საკუთრების პრეზუმპციაზე, რომელიც სამართლის ძალით მოქმედობს იმის სასარგებლოთ, ვინც ნივთის მფლობელი იყო უწინ და მოქმედობს იმ დრომდე, ვიდრე არ დამტკიცებულა საწინააღმდეგო უფლებრივი დებულება. ეს სარჩელიც მფლობელობით იწყება, მაგრამ მიმართულია ნივთის დაბრუნებისკენ მფლობელობის ნიადაგზე წარმოშობილ საკითხების პრეზუმპციის ძალით. ამ მფლობელობის ფორმში დაცულია ნაგულისხმევი სანივთა უფლება და არა თვით ფაქტი მფლობელობისა, როგორც თვითმყოფი იურიდიული ღირებულება. ამ აზრით ეს მფლობელობის პეტიტორული სარჩელია და არა პოსესორული.

მფლობელობის ასეთი პეტიტორული სარჩელის შესაძლებლობა აღიარებულია საქ. უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიის ზემოთ დასახელებულ დადგენილებაში. როგორც ვნახეთ, ასეთი სარჩელის შესაძლებლობა სრულიად ლოიკურათ გამოდინარეობს იმ დებულებიდან, რომ მფლობელობა სანივთო უფლების (საკუთრების) პრეზუმპციის ფაქტიურ საფუძველს შეადგენს, რაც თავის მხრივ გამოდინარეობს ს.ს.კ. 59 და 60 მუხლებში აღიარებულ დებულებიდან მფლობელობისთვის მიკუთნებულ გასხვისების ფუნქციების ლეგიტიმაციის შესახებ. უწინარესი მფლობელობის სარჩელი მიმართულია ყოფილ მფლობელობის აღდგენისაკენ და ამიტომ მას მფლობელობის დაცვის ხასიათი აქვს. მაძიებელს ამ სარჩელისთვის მოეთხოვება არა სადავო ნივთზე უფლების დამტკიცება, არამედ მხოლოდ აღრიდებულ მფლობელობის ფაქტისა. ამიტომ ეს სარჩელი არ შეიძლება საკუთრების სარჩელათ ჩაითვალოს. მოპასუხეს ამ სარჩელის გასაბათილებლათ გახსნილ აქვს გზა დაემყაროს თავის უფლებას სადავო ნივთზე. ამიტომ ეს პეტიტორული სარჩელია და არა პოსესორული. აველა ეს დებულებანი სრულიად ნათლათ არის გამოთქმული საკასაციო საკრებულოს დასახელებულ დადგენილებაში. „...ამ გვართ, ვკათხოლობთ ამ დადგენილებაში, საქმეში არაფრით არ არის დადასტურებულა, რომ მოპასუხეებს სადაო ქონებაზე რაიმე უფლება ეკუთვნოდეს. მტკიცების ვალდებულება ამ შემთხვევაში მათ უნდა დაეკისროს, ვინაიდან, მათ 1924 წელში დაიკავეს სადაო ქონება და ისინი არიან ვალდებულნი დამტკიცონ, რომ ეს დაკავება რაიმე უფლებრივ საფუძველზე მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუ მოპასუხეები ვერ დაამტკიცებენ თავიანთ უფლებას სადაო ქონებაზე, მათ მიერ სახლის დაფლობა უკანონო მფლობელობათ უნდა ჩაითვალოს, რომლისაგან ქონების განთავისუფლების მოთხოვნა ამ შემთხვევაში მაძიებელს შეეძლო თანახმათ სამ. საქ. კოდ. 59 მუხლისა. მართალია, ამ მუხლით სარგებლობა შეუძლიან ქონების მესაკუთრეს, მაგრამ მანამ სანამ ქონებას დამფლობი ვერ დაამტკიცებს ქონების დაფლობის იურიდიულ საფუძველს, იურიდიული პრეზუმპცია ქონების საკუთრების შესახებ იმ პირის სასარგებლოთ უნდა იყოს ცნობილი, რომელიც ქონებით სარგებლობდა, სანამ ახალი დამფლობი მას დაიფლობდა...“

ამ დადგენილებაში მოცემულია მთელი სისტემა ნორმებისა, მიმართული დაკარგულ მფლობელობის აღდგენისთვის, რომელიც თხოულობს მხოლოდ შემდგომ გან-



ვითარებას და ზუსტ გარკვეულობას იმის შესახებ, თუ რით შეუძლიან სახელდობრ მოპასუხეს გააბათილოს მძიმე ბელის სასარგებლო არსებული უფლებების პრეტენზია, რა ვადა აქვს ამ სარჩელს და რა ნივთების მიმართ მოიმარჯვება, ყველა, თუ მხოლოდ განსაზღვრულ კატეგორიის ნივთების მიმართ.

გ. რცხილაძე.

შრომის კოდექსის 47 მუხლის შეზღვევის შესახებ*.

შრომის დაცვის არც ერთ საკითხს არ განუცდია იმდენი ცვლილება, როგორც პასუხისგებაში მიცემულის უფლებრივი მდგომარეობის საკითხს.

შრომის კოდექსის 47 მუხლში საერთოდ მოყვანილია მიზეზები, რომლითაც დამქირავებელს ეძლევა უფლება მოითხოვოს გაუქმება განუსაზღვრელ ვადით დადებული ან ვადიანი ხელშეკრულებსა. ამ მუხლის „ე“ პუნქტში ნათქვამია: „თუ დამქირავებულმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული მოქმედება, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის სამუშაოსთან და დამტკიცებულია ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით, აგრეთვე თუ დამქირავებული იყო დატუსაღებული ორ თვეზე მეტი ხნით, — დამქირავებელს აქვს უფლება დაითხოვოს სამსახურიდან დამქირავებული“. აქ კანონმდებელი ყურადღებას აქცევს ორ პირობას, რომელიც საჭიროა დამნაშავეს დასაბრუნებლად. ერთია — გამამტყუნებელ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, მეორე კი — ორ თვეზე მეტი ხნით დატუსაღება. ამ კანონით არ იყო გათვალისწინებული, რა უფლებით უნდა ესარგებლა პასუხისგებაში მიცემულს სისხლის სამართლის დევნის დაწყების შემდეგ, ის უნდა ყოფილიყო გადაყენებული სამსახურიდან თუ დარჩენილი სამსახურში განაჩენის გამოტანამდე, რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა იმ შემთხვევას, როდესაც დამქირავებელი სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე დაითხოვდა ან გადააყენებდა სამსახურიდან ექვს მიტანილს, რა წესით და რა რაოდენობით უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული სამსახურიდან გადაყენებული, რა ეფექტი გამოიწვევდა გამამართლებელი განაჩენი, საქმის მოსპობა ბოროტმოქმედების ნიშნების უქონლობის გამო ან ამნისტიის შეფარდება და სხვ. რადგანაც კანონში ამაზე არაფერი იყო ნათქვამი, — ეს აძნელებდა ამ კანონის ცხოვრებაში სწორად გატარებას და ამასთან იწვევდა პრაქტიკის სხვადასხვაობას. ამიტომ საჭირო გახდა, რომ კანონი განმარტებული ყოფილიყო.

აქ უნდა ითქვას, რომ 1923 წ. 1-იანვრამდე, ე. ი. შრომის კანონთა კოდექსის შემოღებამდე საქართველოში ტერიტორიაზე მოქმედებდა საქ. სოც. საბჭოთა „რეკვო“-ის დადგენილება № 148: „გამომძიებისა და სამართალში მიცემულ მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ“. ეს დადგენილება შესდგება მხოლოდ ორ მუხლისაგან. პირველი მუხლი შეიცავს დადგენილებას, რომ გამომძიების ქვეშ მყოფი ან სამართალში მიცემული შეიძლება იქნეს ამის გამო დათხოვნილი და დღიდან დათხოვნისა მას ესპობა ჯამაგირის და ყოველგვარ ხასიათის ვასამრჯელოს მიცემა; მეორეში — კი დადგენილია: ვინც გამომძიების ან სამართლის ქვეშ იმყოფება და ამის გამო, დროებით გადაყენებულია სამსახურიდან მას ეძლევა ჯამაგირის ნახევარი დღიდან გადაყენებისა სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, ხოლო თუ ის სასამართლოს მიერ გამართლებულია, მას უნდა მიეცეს დანარჩენი დაჭერილი თანხა.

შრომ. კოდექსი. 47 მუხლ. „ე“ პუნქტი აღნიშნულ დადგენილებასთან შედარებით უფრო ფართოდ ატარებს მშრომელთა ინტერესის დაცვის პრინციპს, რადგანაც სამ-

*) დისკუსიის წესით.


სახურიდან დათხოვნას უკავშირებს სასამართლოს განაჩენს და უდავო პრინციპით აცხადებს, რომ სამსახურიდან დათხოვნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენის შემდეგ. ეს პრინციპი ურყევად არის გატარებული ამ საკითხის შესახებ შემდეგ გამოცემულ ყველა განმარტებაში და დაცულია აქამდე.

დადგენილება № 148 არ აძლევს მშრომელს არავითარ გარანტიას და დიდ ალაცს უთმობს ადმინისტრაციის თვითნებობას. საკმარისია დამქირავებულის სამართალში მიცემა (საფუძვლიანია იგი თუ უსაფუძვლო), რომ დამქირავებელს შეეძლოს დაუყოვნებლივ დაითხოვოს ის სამსახურიდან (1 მუხ.) მართალია, იმავე 148 №-ით დადგენილების 2-მუხლი უმატებს, რომ სამართალში მიცემული შეიძლება იქნეს გადაყენებული თანამდებობიდან და მას ენახება ჯამაგირის ნახევარი განაჩენის გამოტანამდე, მაგრამ ამ კანონში არ არის გათვალისწინებული, რა შემთხვევაში ხდება გადაყენება და როდის ხდება სამსახურიდან დათხოვნა. ეს გარემოება იწვევდა გაუგებრობას, ადმინისტრატიულ თვითნებობას და უსამართლობას. ადმინისტრაცია მით უფრო ეტანებოდა ამ კანონს, რომ იგი უსპობდა გამართლებულს საშუალებას მოეთხოვა დარღვეული უფლებების აღდგენა. ამიტომ 47 მუხ. „ე“ პუნქტი მიჩნეულ უნდა იქნეს შედარებით 148 №-ით დადგენილებასთან მიღწევად, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს კანონიც არ ამოწურავდა საკითხს, რითაც აიხსნება ის, რომ ვაშლიცა 1923 წლ. 2-იენისს ა.კ. შრომის სახ კომისარიატის განმარტება.

აღნიშნული განმარტების პირველი მუხლი იმეორებს შრომ. კოდექსის დებულებას, რომ დამქირავებულის დათხოვნა ბოროტმოქმედების ჩადენის გამო შეიძლება მოხდეს სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ ან როდესაც დამქირავებული იმყოფება სატუსაღოში ორ თვეზე მეტი. მეორე მუხლი აღნიშნავს, რომ სამსახურიდან დროებით გადაყენებულს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე უნდა ეძლიოს მთელი ხელფასი. მე-3 მუხლში კი ნათქვამია — თუ დამქირავებული გადაყენებულია სამსახურიდან გამომძიებლის მოთხოვნით, მას ეძლევა ხელფასი მხოლოდ ორი თვე და ამ მუხლის შენიშვნა უმატებს, რომ გამართლებული აღდგენილ უნდა იქნეს თანამდებობაზე, მაგრამ გაცდენილი ხელფასი ეძლევა არა უმეტეს ორი თვისა. არც ეს განმარტება იყო სრული. კანონში არ იყო გაშუქებული, რა ბედი ელოდა გამართლებულს, რომელიც გადაყენებული იყო მხოლოდ ადმინისტრაციის განკარგულებით? გაუგებარი იყო, რატომ ეძლეოდა გამამტყუნებულს განაჩენის გამოტანამდე სრული ჯამაგირი და გამართლებულს უნდა მისცემოდა მხოლოდ ორი თვის ხელფასი და ძველი თანამდებობა? ამ კანონით რატომ იყო გამამტყუნებელი ჩაყენებული უფრო ხელსაყრელ პირობაში, ვიდრე გამართლებული?

აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ა.კ. შრომ. სახ. კომისარიატის ახალი განმარტება, რომელიც გამოიცა 1925 წლის 16/1-ს. ეს განმარტება უფრო არკვევს და აშუქებს სამართალში მიცემულის უფლებრივ მდგომარეობას, მაგრამ ამ განმარტების ზოგიერთი ნაწილი იწვევს გაუგებრობას და საჭიროებს დამატებას.

ხსენებულ განმარტება აღიარებს უდავო პრინციპით, რომ გამართლებულს, თუ ის არ იყო დატუსაღებული, თუნდაც ადმინისტრატიულ წესით, ან არ იყო გადაყენებული გამომძიებლის მიერ, უნდა მიეცეს მთელი გაცდენილი დროის ხელფასი და აგრეთვე აღდგენილ უნდა იქნეს თანამდებობაზე (მუხლი 2 და 3). ეს მუხლები ნათლად და მკაფიოდ გამოხატავენ სამართალში მიცემულის უფლებას და არ იწვევს არავითარ სძინელს შეფარდების დროს. მაგრამ იგივე ვერ ითქმის 1 და 4 მუხლის შესახებ. 1 მუხლს აქვს ორი ნაწილი. პირველი ნაწილის მიხედვით დამქირავებელს აქვს უფლება შეუჩეროს დამქირავებულს ხელფასის მიცემა, თუ ის დატუსა-



ღებულა პასუხისგებაში მიცემის გამო ანდა დატუსაღებულა ადმინისტრაციული წესით, მეორე ნაწილის მიხედვით კი დაქირავებულის ხელფასი შეჩერდება, როდესაც ის გადაყენებულია სამსახურიდან გამომდინარის მიერ. 4 მუხლი აღნიშნავს იმ შედეგს, რომელიც მიყვება 1-მუხლით გათვალისწინებულ პირთა გამართლებას. მათ ამ მუხლის შინაარსის მიხედვით მიეცემათ მხოლოდ ორი თვის ხელფასი დღიდან დატუსაღების ან თანამდებობიდან გადაყენებისა; მაგრამ თუ დაქირავებული იქნა დატუსაღებული ან გადაყენებული ამგვარ საქმეზე, რომელიც არ იყო უშუალოდ დაკავშირებული მის სამსახურთან, დაქირავებული შეიძლება საკონფლიქტო კომისიის თანხმობით შეიძლება იქნეს განთავისუფლებული ამ ორი თვის ხელფასის გადახდისგანაც. მაშასადამე ამ მუხლის აზრის მიხედვით უნდა დავსკვნათ, რომ როცა ვინმე დატუსაღებულია თუნდაც ადმინისტრაციული წესით ან გადაყენებულია სამსახურიდან გამომდინარის დადგენილებით მას გამართლების შემდეგ მიეცემა მხოლოდ ორი თვის ხელფასი.

უნდა აღინიშნოს, რომ გაუფებრობის ცენტრი არის 1-მუხლის „ბ“ პუნქტი. ზოგს ეს მუხლი ესმის ისე, ვითომც დატუსაღება უნდა იქნეს მხოლოდ სასამართლო ორგანოების განკარგულებით, ზოგს კი, რომ დატუსაღება უნდა აღემატებოდეს 2-თვეს. საკითხისადმი მიდგომა უნდა იქნეს დამყარებული კანონის სწორ შინაარსზე, მის სწორად გაგებაზე და არა გულჩვილობაზე. თუ ამ თვალსაზრისით და ამ საზომით მივუდგებით საკითხს, უნდა ითქვას, რომ კანონი სასტიკად ეპყრობა ამ პირს, ვინც გამომძიებლის მიერ გადაყენებულია და შემდეგ გამართლებული. მას თანახმად აღნიშნული განმარტების 1-მუხლის „ბ“ პუნქტის, რომელიც არავითარ დავას არ იწვევს, ეძლევა მხოლოდ ორი თვის ხელფასი და მეტი არაფერი და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი საქმე დაკავშირებულია სამსახურთან. ამნაირად გამოდის, თუ გამომძიებელმა, დაეუფვათ, საქმის უკოდინარობის გამო, დაუდევრობით ან კეთილსინდისიერი შეცდომით გადააყენა სამსახურიდან სამართალში მიცემული,

შეცდომის ნაყოფი მძიმე ლოდით ედება გამართლებულს: გამომძიებელი შეცდა, პასუხი კი უნდა აგოს გამართლებულმა, რომელიც აიღებს კომპენსაციით მხოლოდ ორი თვის ჯამაგირს. ეს, რა თქმა უნდა, მძიმე პასუხისმგებლობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა კანონი უნდა იქნეს შეფარდებული მის ნაძღვრილი შინაარსის მიხედვით. კანონის შინაარსი კი გვიკარნახებს, რომ დატუსაღება არ საჭიროებს უსათუოდ სასამართლოს ორგანოების და გამომძიებლის განკარგულებას. განმარტებაში ნათქვამია, რომ სამართალში მიცემულ დატუსაღებულს, ან ადმინისტრაციულ წესით დატუსაღებულს უნდა შეეფარდოს 1925 წ. 16/1-ის განმარტების 4 მუხლი. მაშასადამე საკმარისია იმის გამორკვევა, რომ პასუხისგებაში მიცემული იყო ამ საქმეზე დატუსაღებული, რომ მას შეეფარდოს 4 მუხლი.

ეხლა რაც შეეხება ვადას, რამდენი ხნით უნდა იქნეს დატუსაღებული სამართალში მიცემული, რომ მას შეეფარდოს მე-4 მუხლი? საჭიროა თუ არა მე-4 მუხლის შესაფარდებლად სამართალში გადაცემულის 2-თვეზე მეტი ხნით დატუსაღება? ამის პასუხს ჩვენ ვპოულობთ 1925 წ. 16/1-ის განმარტების 6-მუხლში, რომელიც ადმინისტრაციის ანიჭებს უფლებას 1-მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ პირების დათხოვნისას, ე. ი. იმ პირების, ვინც დატუსაღებულ ან გადაყენებულ იქნა გამომძიებლის მიერ ორ თვეზე მეტი. აქედან ცხადია, რომ თუ სამართალში მიცემული დატუსაღებული იყო ორ თვეზე მეტი და ამის გამო დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, მას შეეფარდება მე-6 მუხლი და თუ დატუსაღებულია ორ თვეზე ნაკლები მაშინ მას უნდა შეეფარდოს მე-4 მუხლი. თუ მე-4 მუხლს გავიგებთ ასე, რომ ის ეფარდება მხოლოდ სატუსაღოში მყოფს ორ თვეზე მეტი ხნით, მაშინ ეს მუხლი საჭიროც არ იქნებოდა იმიტომ, რომ მე-6 მუხლი აძლევს ადმინისტრაციას ასეთ პირთა დათხოვნის უფლებას და რაღათ იქნებოდა საჭირო იმავე შინაარსის მეორე მუხლი-აღნიშნული მუხლების ანალიზი გვაჩვენებს, რომ 1. მუხლით კანონმდებელს ჰყავდა მხედველობაში ის პირი, ვინც იჯდა სატუსაღოში ორ თვეზე ნაკლები ასე რომ

სასამართლო და ცხოვრება.

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან სასამართლო დაწესებულებაში.

ჩვენ დღევანდელ ყოფა-ცხოვრების სახმარებელ ლექსიკონში ყველაზე პოპულარული სიტყვაა „ბიუროკრატიზმი“.

ბიუროკრატიზმი რალაც მიუდგომელი, მრავალ-თავიანი და სქელ-კანიანი არსებაა; ერთ თავს მოსკრი, მას იმ წამსვე მეორე თავი ამოუვა, ერთ კარებიდან განდევნი, მეორე კარებიდან შემოდგება.

ჩვენ ვყვირით და ვლაღობთ: „ძირს ბიუროკრატიზმი!“, ის კი იცინის, ხარხარებს და ნიშნის მოგებით შემოგვძახის: „ვერ შემაშინებთ“.

მაგრამ თქვენ იმედოვნებთ რომ ბიუროკრატიზმს ყველგან არა აქვს ადგილი და თუ აქვს ადგილი—მისი ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა შესაძლებელია.

აი მაგალითად, ავიღოთ ჩვენი სასამართლო. ეს ისეთი დაწესებულება ვახლავთ, რომლის ატმოსფერაც თითქოს ძალიან მაგნებელი უნდა იყოს ასეთი ტლანქი არსებისათვის, როგორც არის ბიუროკრატიზმი.

სასამართლო მართლაც არის ისეთი ორგანო, რომელიც ებრძვის ყოველივე ბოროტებას და თუ ბიუროკრატიზმი არის ბოროტება, როგორ უნდა ჰქონდეს ადგილი ამ ბოროტებას აქ, სასამართლოში? ეს ხომ სასამართლოს ბუნებას ეწინააღმდეგება, ეს ხომ დამახინჯება იქნება თვით სასამართლოს ორგანიზაციის იდეისა, რომ

მელიც გამოიხატება იმ დებულებაში, რომ სასამართლო არის დამცველი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და მშრომელ მასის ინტერესების, რომ სასამართლო უნდა იყვეს ჩქარი, დაახლოებული მშრომელ მასასთან, გასაგები იმისთვის, უნდა იყვეს სამართლიანი (მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით), ლობიერი, როდესაც ეს მიზანშეწონილია, და მკაცრი, როდესაც ეს საჭიროა. ყოველგვარ გაჭიანურებას, ვოლოკიტას, უგულო ფორმალისმს, კანონის ასოს გაღმერთებას, ადგილი არ უნდა ჰქონდეს სასამართლოში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება სასამართლოებში და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორგანოებში, როგორც არის მაღიციან, საგამომძიებლო აპარატი და პროკურატურა.

აი ზოგიერთი ცოცხალი მაგალითები:

ერთ კოპერატიულ მალაზიაში მომუშავე ნოქარმა წააღო ნისიან მალაზიიდან 10 გირ. შაქრის ფხვნილი ღირებული 2 მ. და 60 კ.; ამის შესახებ სხვა თანამშრომლებმა იცოდნენ როდესაც საერთოდ თანამშრომელ ნოქარებს მიჰქონდათ ნისიან საქონელი, იწერებოდა წიგნში და შემდეგ დაუკავებდნენ ჯამაგირიდან წაღებულ საქონლის საფასურს. ამ შემთხვევაში ნოქარს დაავიწყდა ეთქვა იმ თანამშრომლისათვის, რომელიც აწარმოებდა ჩაწერას და ერთი თვის შემდეგ გამგემ აღმოაჩინა ეს ამბავი, მაგრამ ნოქარმა არ უარჰყო 2 მან. 60 კაპ. საქონლის წაღება ნისიან. გამგემ შეადგინა ოქმი, გადაუგზავნა გამგეობას და გამგეობამ დაადგინა: ნოქარი დათხოვნილი იქნეს სასამართლოში.

არ იყოს გამოვსა, რომ სამართალში მიცემულისათვის სულ ერთია, რომელი მუხლი შეეფარდება მას, ვინაიდან თუ მოპასუხე შეპყრობილია 2 თვეზე მეტი, ის შეიძლება დათხოვნილ იქნეს და ამ შემთხვევაში მას მისცემენ ორი თვის ხელფასს, თუ კი მან სატუსაღოში დაჰყო მხოლოდ 2-დღე და გამართლდა 6 თვის შემდეგ, მას მე-4 მუხლით მიეცემა იგივე ორი თვის ხელფასი და თანამდებობაზე არ აღადგენენ. ასე რომ გამოვა იგივე დათხოვნა და განსხვავება მე-4 და 6 მუხლის შორის აღარ იქნება. ამიტომ აქ უნდა დაისვას საკითხი, თუ მე-4 და 6 მუხლის შინაარსი გათანაბრებულია, რათ იყოს საჭირო 1-მუხლის გამოყოფა და რათ არ იყო საკმარისი მხოლოდ 6-მუხლი? აღნიშნული განმარტების ბუნდოვნობა იწვევს სასამართლოს პრაქტიკის სხვადასხვაობას, ამიტომ მისი ის ნაწილი, რომელიც შეიცავს 1-მუხლ. „ა“ და „ბ“ პუნქტებს და 4 და 6 მუხლს, მოითხოვს განმარტებას.

აღძრულ საკითხის გასაშუქებლად სასურველია გამოთქვან თავისი აზრი სასამართლოს და შრომის დაცვის დარგში მომუშავეებმა.

დ. გაბაშვილი.

სამემკვიდრეო კანონის შესახებ*)

სამემკვიდრეოდ გამოსაწვევ პირთა წრეს განსაზღვრავს სამ. კოდექსი. 4:8 მუხლი, რომლის ძალით მოხსენებულ პირთა გარდა გარდაცვალებულის შვილებისა, შვილიშვილებისა და ცოცხალი მეუღლისა-სხვასაც შეუძლიან მიიღოს გარდაცვალებულის ქონება, თუ ის სახსარს და შრომის უნარს არის მოკლებული და აგრეთვე თუ იყო არა ნაკლებ ერთი წლისა სამემკვიდრეოს დამტკიცების სრულ და ფაქტიურ კმაყოფაზე.

ეს სავესებით მისაღებია, მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოთ დასტროვის სასამართლოს მომუშავემ ის საგრძნობი სირთულეები, რომელნიც მას ხდება ამ საკითხის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების გზაზე.

პრაქტიკა გვარწმუნებს იმაში, რომ თუ გარდაცვალებულს დარჩა მნიშვნელოვანი ღირებულების ქონება და მას არ დარჩა არც შვილი არც შვილიშვილი და არც მეუღ-

*) იბეჭდება დისკუსიის წესით. რედაქცია სთხოვს ამხ. მოსამართლეებს გამოსთქვან თავისი აზრი.

ლე, მაშინ ჩნდება „კმაყოფაზე მყოფი პირნი“ რომელნიც შეიარაღებულნი არიან მოწმებით და ვეჭილებით იმის დასამტკიცებლად, რომ მათ აქვთ უფლება დაეპატრონონ ამ ქონებას. შეტევის სიძლიერე დამოკიდებულია სამემკვიდრეო ქონების ღირებულებაზე. თუ ქონება ბევრი ღირს, მაშინ საბრძოლველი იარაღი კარგად არის დალეხილი.

კმაყოფაზე მყოფ პირთათვის მემკვიდრეობაზე უფლების მიცემას კი შედეგათ მოჰყვება ის, რომ არა მარტო ისინი მოდიან ქონებისათვის, ვინც მართლა იყო გარდაცვალებულის კმაყოფაზე (ლარიბი და შრომის უნარს მოკლებული) არამედ მეტ შემთხვევაში სხვებიც. ასე, რომ ხაზინა ვერასოდეს ვერ მიიღებს უმემკვიდრეთ გარდაცვალე ბული პირის ქონებას, თუ მოსამართლემ დიდი დაკვირვება და სიფრთხილე არ გამოიჩინა.

ცხადია, ასეთპირობებში მოსამართლე არ იქნება დაზღვეული შეცდომისაგან, რამდენად ფრთხილადაც არ მოიქცეს და ხაზინა დაჰკარგავს იმას, რაც მას კანონით ეკუთვნის. ბევრია შემთხვევები, როდესაც რამოდენიმე ათასი მანეთის ქონება რჩება გარდაცვალებულს, მემკვიდრენი კი არ არიან. მოდის პოქალაქე შეიარაღებული მტკიცებით და ამბობს: „კანონის მოთხოვნას ვაკმაყოფილებ, მომეციოთ ქონებაო.“ მეორე მხარეზეა ხაზინის წარმომადგენელი; ის არ იცნობს მთხოვნელს, იქნებ მას აქვს რაიმე ქონება. ხსენებულ წარმომადგენელს არ შეუძლიან მიუთითონ ამ გარემოებაზე. მოწმენი კი ხშირ შემთხვევაში თავისებური წარმოდგენით მემკვიდრეობის უფლებაზე ამბობენ იმას, რაშიაც არ არიან დარწმუნებულნი. კანონში კი არ არის ნათქვამი, რომ არა პირდაპირ მემკვიდრეს მიეცეს ქონების ნაწილი, მესამედი, მეოთხედი ანუ ნახევარი, თუ ქონება გასაზღვრულ თანხას არ აღემატება, რა გარემოებასაც მნიშვნელობა ექნებოდა მაგარი მეტევის შემთხვევაში, როცა მოსამართლის სინდისი განსაცდელშია. კანონი ამბობს: ან მთლად მიეცი ქონება თანხის განუსაზღვრელად ან გროშსაც ნუ მისცემო. ჩემი აზრით კმაყოფაზე მყოფ პირთა შესახებ სამემკვიდრეო კანონის შესწორება იქნება მიზანშეწონილი, როგორც ფისკალური ინტერესების დაცვის, ისე სასამართლოს პროცესის გამარტივების თვალსაზრისით.

ბ. შოისრაფეშვილი.

ხურიდან, საქმე კი გადაეცეს პროკურორს სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისაცემად, მიუხედავად იმისა, რომ ნოქარმა უკვე შეიტანა სალაროში 2 მ. 60 კ, და როგორც იტ-ვინა ხლომე ოფიციალურ ენაზე—„ხაზინას არავითარი ზარალი არ მოსვლია“.

პროკურორმა მიიღო საქმე და ამუშავდა მართლმსაჯულების მანქანა. პროკურორი აწერს რეზოლიუციას: „საქმე გადაეცეს გამომძიებელს წინასწარ გამოძიების მოსახდენათ ს.ს.კ. 116 მუხ. ნაშნებით“.

გამომძიებელი შეუდგა გამოძიებას, გამოიწვია დასაკითხავად მთელი რიგი მოწმებისა, მალაზიის მთელი შტატი, ერთი სიტყვით მოახდინა მშენიერი და დაწვრილებითი გამოძიება და ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუმცა ხაზინას არავითარი ზარალი არ მოსვლია და საქმეში არ არის სისხ. სამ. დანაშაულის ნიშნები, მაგრამ ბრალდებული მაინც უნდა დაისაჯოს დისციპლინარული წესით, ვინაიდან აქ არის ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, რადგან ნოქარმა თავის დროზე არ ჩააწვრინა წიგნში თავის დავალიანებაო. ნოქარს შეეკეს გამომძიებელთან განცხადება, ეხვეწება: მე არა ვარ ბოროტმომქმედი, ეს საქმე გაუგებრობის შედეგია, გამეგობამ გამომაგდო ქუჩაში და ჩემი ცოლ-შვილი შიმშილს განიცდის, მოსპეთ საქმე, ვინაიდან არავითარი დანაშაულის ნიშნები საქმეში არ არის, ნუ დამსჯით დისციპლინარული წესით, ვინაიდან ეს სამსახურიდან დათხოვნის დაკანონება იქნება, მომეციოთ საშუალება აღდგენილ ვიქნე ჩემს თანამდებობაზე. მაგრამ მისი თხოვნა ჩაეკრებოდა „საქმეში“ და მისი

ღალადი დარჩა „ხმად მლაოადებლისა უდაბნოსა შინა“... აი ამ მაგალითიდან ჩვენ ვხედავთ, რომ უსულო კანონი გამარჯვებულია. როგორც ეტყობა პროკურორმა და გამომძიებელმაც კარგად იციან კანონები, მაგრამ ვაი ამ ცოდნას. მართლაც აქ ზედგამოჭრილია რომაელების ძველი თქმობა: „fiat iusticia perlat mundus“—„ქვეყანა რომ დაიქცეს კანონი უნდა იყვეს ურყეველიო“. კანონი გამარჯვებულია, მაგრამ ვინ არის დამარცხებული? მუშა, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის.

აი მეორე მაგალითი: სახლის პატრონმა აღძრა სამოქალაქო სარჩელი ერთი დგმური ქალის წინააღმდეგ საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოში საპირფარეოს სარგებლობის შესახებ. ზოგიერთმა მეზობლებმა შეიტანეს უზნის მილიციის სამმართველოში განცხადება თხოვნით—მოეხდინა მილიციას გამოკვლევა იმის დასადასტურებლად, რომ ეს დგმურებიც სარგებლობდენ სადაო საპირფარეოთი. მოპასუხემ წარუდგინა მილიციას საბინაო სასამართლოდან გაცემული მოწმობა, რომ საქმე სწარმოებს სამოქალაქო წესით ამ სასამართლოში და ითხოვა არ მოეხდინათ გამოკვლევა და მიმოწერა გადაეგზავნათ იმავ სასამართლოში. მილიცია უგზავნის საბინაო სასამართლოს ამ მიმოწერას 4 ფურცელზე. შეცდომით ეს მასალა მისულა ქ. ტფილისის ერთ ერთ უზნის სახალხო სასამართლოში. რეგისტრატორს არ დაუხედავს მისამართისათვის, ჩაუწერია წიგნში და გადაუტია მდივნისათვის. მდივანს არ წაუკითხავს მიმოწერა და გადაუტია მოსამართლისათვის. არც მოსამართლე გასცნობია საქმეს და მიმოწერაზე დაუ-

კანონმდებლობის მიმოხილვა*)

1927 წ. ოქტომბრის 1-დან დეკემბრის 15-მდე

საქართველოს ს.ს.რ. კანონმდებლობა

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

ცენტრ. აღმ. კომიტეტი.

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ის 1927 წ. ოქტომბრის 31 დადგ. № 92 — „კომუნისტი“ დეკ 14 № 283).

ინსტრუქტორების თანამდებობა დაარსებულია ცოცხალი და მუდმივი კავშირის დასამყარებლად ადგილობრივ ორგანოებთან, როგორც არიან მაზრალმასკომები, სათემო, სასოფლო და ქალაქის საბჭოები და სათემო და ქალაქის აღმასკომები. ინსტრუქტორი გამოიკვლევს ადგილობრივ ორგანოების მუშაობას და გაუწევს მათ ინსტრუქტორობას და დანმარებას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დადგენილებათა, განკარგულებათა და დირექტივთა ასრულების საქმეში. ყველა ამ დარგის მუშაობა დებულებაში დაწვრილებით არის განსაზღვრული. ანონი.

2. საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ (საქ. ს. კ. ს. ის 1927 წ. დეკემბრის 14 დადგ. — „კომუნისტი“ დეკ. 15 № 284). საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, აგრეთვე კომერციულ ანგარიშზე მოქმედ და საქართველოს

*) უადგილობის გამო ამ ნომერში ვათავსებთ მხოლოდ საქ. ს.ს.რ. და ა. კ. კანონმდებლობათა მიმოხილვას. შემდეგ ნომრიდან ჩვენ მოვათავსებთ სისტემატიურად როგორც ა. კ. ისე საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების კანონმდებლობათა მიმოხილვ.ს 1928 წ. იანვრის 1-დან და აგრეთვე 1928 წ. იანვრამდე. რ ე დ.

ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო საწარმოთა ცენტრალურ სამმართველოებს (მათ შორის სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა გამგეობათ) დაევალოთ გამოიწერონ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული. გამოწერილ უნდა იქნეს თითო ცალი ყოველი სახალხო კომისარიატისათვის და სხვა ცენტრალურ დაწესებულებისათვის, ხოლო ადგილობრივ დაწესებულებათა შორის — თითო ცალი ყოველი მაზრალმასკომისათვის, თემალმასკომისათვის, მილიციის სამაზრო და სააიონო სამმართველოსათვის და სახალხო სასამართლოს და სახალხო გამომძიებლის კამერისათვის.

ყველა დასახელებულმა ცენტრალურმა დაწესებულებამ და აღმასკომმა ერთი თვის განმავლობაში უნდა აცნობოს იუსტსახკომს იმ დაწესებულებათა სია, რომელნიც ვალდებული არიან გამოიწერონ კრებული, და შემდეგში უგზავნოს ასეთი სიები არა უგვიანეს ყოველ წლის იანვრის 1-ისა.

სტატისტიკა

3. სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის წარმატებით განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს. ის 1927 წ. ნოემბრის 24 დადგ. № 99 — „კომუნისტი“ ნოემბ. 26 № 268). დადგენილება გამოცემულია სსრ კვშირის ც. ა. კ. ის და ს. კ. ს. ის 1927 წ. აგვისტოს 10 დადგენილების შესასრულებლად (სსრ კავშ. კან. კრ. № 47, მუხ. 476) და ეხება 1927 წ. დეკემბრის 15-სთვის დანიშნულ აღწერას.

ფიზკულტურა

4. ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე 1925 წლის ივლისის 20 ს თარიღით 38 №-ით გამოცემული დადგენი-

ლება რეზოლიუციას: „შესდგეს საქმე და დაინიშნოს ახლო მომავალში“ — ო. რატომ შესდგეს საქმე, რა წესით — სისხ. სამ., თუ სამ-ქალაქო წესით, ან რატომ დასჭირდათ სიჩქარით ამ „საქმის“ განხილვა, ეს ისტორიისათვის ცნობილი არ არის. კანცელარიას უტრიალებია ეს საქმე და ბოლოს გადაუწყვეტია შეაყენოს სისხლის სამართლის წესით. ჩაუწერიათ რეესტრში: „სისხლის სამართლის საქმე ამა და ამ მოქალაქის ბრალდებისა გამო თვითნებობაში.“ გაუკეთებიათ ახალი ყდა, დაუწერიათ სათანადო ნომერი, როგორც წესი არის, მაგრამ გასულა ერთ წელზე მეტი და ყველას დავიწყებია ამ საქმის არსებობა, არც არავის მოუკითხავს, ვინაიდან არავითარ ღირებულებას და მნიშვნელობას არავისათვის არ წარმოადგენდა. ერთი წლის შემდეგ კანცელარიას შემთხვევით გამოუჩვენებია, რომ ეს „საქმე“ კი არ არის, არამედ უბრალო მიმოწერა, რომელსაც მილიცია აგზავნიდა საბინაო სასამართლოში განკარგულებისათვის. ამიტომ კანცელარიას დაუპირებია გადაგზავნოს ეს მიმოწერა კუთვნილებამდებრ. შეუდგენიათ მიმართვა საბინაო საქმეთა სასამართლოს სახელზე, რომელშიაც სწერია: გვგზავნებთ ესა და ეს მიმოწერა კუთვნილებისამებრ, როგორც შეცდომით მიღებული. ეს მიმართვა დაუბეჭდიათ მანქანაზე, მაგრამ შემდეგ ჩაუკერებიათ საქმეში და საქმე არამც თუ არ გადაუგზავნიათ, არამედ, რამდენიმე ხნის შემდეგ, დაუნიშნავთ საჯარო სხდომაზე არსებითად განსახილველად, გაუგზავნიათ მილიციის საშუალებით უწყებები. სახლის პატრონი გამოუწვევიათ როგორც „დაზარალებული“ და მოპასუხე-ქალი

როგორც „ბრალდებული თვითნებობაში“. უკანასკნელს რომ მიუღია უწყება, დიდ საგონებელში ჩავარდნილა, შეშინებულა — რაშია საქმე, ვინ სდებს ბრალს, რაში სდებენ ბრალს, გაქცეულა და დაუქირავებია ვეჟილი. სხდომის დღეს გამოცხადებულან „მხარეები“, ბრალდებულს დაუკავებია საბრალმდებლო სკამი, ვეჟილი მომზადებულა დასაცავად, როგორც სწერია ოქმში „თავმჯდომარემ მოახსენა საქმის ვითარება“. დაზარალებულს, სახლის პატრონს, განუცხადებია: რაშია საქმე, ეს საქმე ხომ ირჩიოდა საბინაო სასამართლოში სამოქალაქო წესით, რატომ არჩევთ ამ საქმესო. რა სთქვა „ბრალდებულმა“ და მისმა დამცველმა, ოქმში არ არის აღნიშნული, მაგრამ მე გვინა მათ სრული უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ სასამართლოსათვის რომ სასამართლოს თავის-თავი მიეცა პასუხისგებაში ხელისუფლების გადამეტებისათვის. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება: „ვინაიდან საქმეში არ არის დანაშაულის ნიშნები და საქმე ექვემდებარება საბინაო სასამართლოს-საქმე წარმოებით მოისპოს...“

აქაც კანონი და მართლმსაჯულება გამარჯვებულია, ვინაიდან უდანაშაულო პირი იყო გამართლებული. მაგრამ რა არის ეს საქციელი სასამართლოში, ყველა ის პროცედურა, რომელიც აწარმოვა სასამართლომ, არის თუ არა ეს ცოცხალი სახის ბიუროკრატიაში, დაუდევრობა და როგორც იტყვიან რუსულად: „ГОЛОВОТЯПСТВО“?...

ლების დამატების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1927 წ. სექტემბრის 30 დადგ. № 83) დადგენილება ეხება 1927 წ. ქ. ბაქოში გამართულ ფიზკულტურის დღესასწაულზე წარვლინებულთ და ავალებს ყველა სახელმწიფო ორგანოს შეუნარჩუნოს ფიზკულტურის საბჭოს მიერ წარვლინებულ მუშა-მოსამსახურეებს მათი თანამდებობანი და ხელფასი.

მუშაობა

5. ისეთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა, ძეგლთა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებთა შესახებ, რომელთა პრაქტიკების შედგენისათვის საჭიროა კონკურსის გამოცხადება (საქ. ს. კ. ს-ის 1927 წ. ოქტომბრის 3 დადგ. — „კომუნისტი“ ოქტ. 5 № 225). დადგენილება გამოცემულია ს. კ. ს-ის 1928 წ. იანვრის 31 დადგენილების თანახმად (კან. კრ № 1, მუხ.), დადგენილებით დამტკიცებულია მის სათაურში ჩამოთვლილ ნაგებობათა სია.

მილიცია

6. საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების 65 მუხლის დამატების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ს-ის 1927 წ. ნოემბრის 10 დადგ. № 94 — „კომუნისტი“ დეკ. 2 № 273). საჩივარი უკანონო დათხოვნის შესახებ მილიციის მომუშავეს შეუძლიან შეიტანოს მხოლოდ საინსტანცია წესისამებრ ან და სასამართლოში.

არმია

7. მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან სათადარიგოდ, ხანგრძლივ შვებულებაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პართათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო დასესებულებაში და საწარმოში თანამდებობის მიცემის წესის შესახებ.

(საქ.ს.კ.ს-ის 1927 წ. ოქტომბრის 13 დღე, — „კომუნისტი“ ოქტ. 14 № 233). დადგენილება გამოწვეულია სურვილით გამოკვეთულ იქნეს, თუ რამდენად სრულდება სსრ კავშირის ს.კ.ს-ის 1926 წ. სექტემბრის 14 დადგენილება (კან. კრ. № 63, მუხ. 475) და დათხოვნილ სამეთაურო შემადგენლობის პართათვის თანამდებობის მიცემის საქმე მოწესრიგებულ იქნეს შემდგომისათვისაც, ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს ევალება წარმოადგინოს დაწვრილებითი ცნობები არსებული მდგომარეობის შესახებ და შემდეგშიც ყველა განთავისუფლებულ თანამდებობისა დაწესებული 30%-იან ფარგალში შეავსოს მხოლოდ დათხოვნილ სამეთაურო შედგენილობის პირებით, სათანადო კომისიების განწესრიგებისამებრ, ყოველი ცვლილება, რაც კი მოხდება ამ ნორმის თანამდებობათა სიაში, 3 დღის ვადაზე აცნობოს კომისიას და მასვე შეუთანხმოს ყოველთვის ამ პირების დათხოვნა, ხოლო შტოების შემცირების დროს სამსახურში დასტოვოს უპირატესად ის პირნი, ვინც მიღებულია 1926 წ. სექტემბრის 14-ის დადგენილების თანახმად.

8. ქალაქად მდებარე სახლებში სამხედრო უწყებისათვის საცხოვრებელი სივრცის მიკუთვნების შესახებ სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა საბინაო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

(საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს-ის 1927 წ. ნოემბრის 15 დადგ. № 98 — „კომუნისტი“ (ნოემბ. 23 № 265). ს.კ.ს-ის 1923 წ. სექტემბრის 26 დეკრეტის გამოწვევით, დროებით, განსაკუთრებული დადგენილების გამოცემამდე, სამხედრო უწყებას ქალაქად მდებარე სახლებში მიეკუთვნა საცხოვრებლად გამოსადეგი სივრცე იმ რაოდენობით, რაც ფაქტიურად სამხედრო უწყების გამგებლობაშია. საქალაქო საბჭოებს ევალებათ სამხედრო უწყების წარმომადგენელთან ერთად ორი თვის განმავლობაში აღნუსხონ ყველა ეს სივრცე. მისი გამგებლობას უფლება ეძლევა სამხედრო და სახლგვარო კომისარიატის ორგანოებს. ეს სივრცე მოქცეულ უნდა იქნეს 1923 წ. სექტემბრის 26 დეკრეტის მე-5 მუხ. „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ კომუნალურ საბინაო ფონდში. ამის გამო, როდესაც მუშა ან მოსამსა-

სასამართლოს კურიოზები

სიტყვა „მოსამართლე“ როდი ნიშნავს იმას, რომ მოსამართლის გასამართლება არავის შეუძლია.

გარდა სათანადო ორგანოებისა „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამაც გადასწყვიტა შეიძინოს მათრახი და ხანდახან წაუტყუაშუნოს სასამართლოს აპარატში კურიოზების შემომქმედებს.

ამბ. ლენინი ამბობდა, რომ ფაქტებთან ბრძოლა ძალიან ძნელიაო. ჩვენც ავალაპარაკოთ ფაქტები:

„ამონაწერი:

დამც. კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან № 17, აპრილის 16 1926 წ.

მოისმინეს:

დასაშვებია თუ არა რომ დამცველთა კოლეგიის წევრმა რომელმაც მაზრაში საკონსულტაციო კამერაში მისცა რჩევა, ან დაუწერა ქალაქი რომელიმე მოქალაქეს, მიიღოს საწარმოებლად მოწინაღობდეგ მხარის საქმე.

ოქმს რასაკვირველია ხელს აწერენ: თავმჯდომარე, მდივანი და საქმის მწარმოებელიც.

რომელია გასამართლებელი: დამცველთა კოლეგიის წევრი, დ. კ. წ. პრეზიდიუმი თუ ორივე ერთად?..

დაადგინეს:

ვინაიდან მაზრაში დამცველთა კოლეგიის წევრების რიცხვი ძლიერ მცირეა—დროებით დაშვებულ იქნეს.

რამდენი შემთხვევაა სასამართლოს პრაქტიკაში, რომ უბრალო საქმე, რომელსაც არავითარი ღირებულება არა აქვს, გადადებულია 18-ჯერ და შემდეგ საჯარო სხდომაზე მოუსპობთ საქმის წარმოების მიზანშეუწონლობის გამო, მაგრამ საკითხავია: 18-ჯერ საქმის დანიშვნა და შემდეგ საჯარო სხდომაზე მოსპობა—ეს კი მიზანშეუწონელია?

ერთ გლესს, რომელსაც არ გადაუხდია ორი კაპიკი საღერბო გადასახადი, მოსამართლის დადგენილებით 15 ვერსის მანძილზე გაუგზავნეს კურიერი, რომელმაც გაიარა იქით-აქეთ 30 ვერსი გზა..

ნეტავ, ეს ამხანაგი მოსამართლე არ შეეკითხა თავის თავს: ეს „ორკაპიკიანი პროცესები“ რამდენ მანეთად უჯდება სახელმწიფოს?

საინტერესოა, როგორ ესმით ზოგიერთ ამბ. მოსამართლეებს „დამატებითი სოციალური დაცვის ზომა“.

ერთ მოქალაქეს, რომლის ცხენზე „მოგზაურობის“ შედეგი იყო მეორე მოქალაქის ფიზიკური დაზიანება—გამოუტანეს ასეთი განაჩენი: „თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 1 წლის ვადით და როგორც დამატებითი ზომა აეკრძალოს 3 წლით ცხენზე შეჯდომა“...

რა საჭიროა კომენტარიები, ფაქტები ასეთია. უურნ. „საბჭოთა სამართალი“ თანდათან გაძლიერებს თავის მათრახს.

—ელ.

ხურე განთავისუფლებს საცხოვრებელ სივრცეს ისეთ სახლში, სადაც კომუნალურ საბინაო ფონდში ჩარიცხული სივრცე სახენდრო უწყებისათვის მიკუთვნებულ სივრცესთან ერთად აღემატება კანონით დაწესებულ პროცენტს გამოსაყენებელი საცხოვრებელი სივრცისას, ეს გადანამეტი სივრცე გამოკლებულ უნდა იქნეს კომუნალურ ფონდიდან და გადაეცეს სახლის პატრონს.

სამოქალაქო სამართალი

9. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68¹ მუხლის შენიშვნის შეცვლის და ამავე კოდექსისათვის 68⁷ და 68⁹ მუხლების დამატების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს-ს 1927 წ. ნოემბრის 30 დადგენილება №101 „კომუნისტი“ დეკ. 11 №281). დადგენილება ეხება განძს და ნაპოვნ ნივთს. განძი—მინაში ჩაფლული ან სხვაგვარად დამალული ფასეულობა, რომლის მესაკუთრის ვინაობა გამორკვეული არ არის ან რომლის მესაკუთრემაც კანონის ძალით დაჰკარგა ამ ფასეულობაზე უფლება—გადაღის სახელმწიფოს საკუთრებად. იგი გადაეცემა სსრ კავშირის ც. ა. კ. ის და ც. კ. ს-ს 1927 წ. მაისის 28 დადგენილებაში აღნიშნულ დაწესებულებას. დაწესებულებამ, რომელსაც განძი გადაეღება, უნდა გადაუხადოს მის აღმოჩენის განძის საბაზრო ღირებულების 20% და აუნაზღაუროს განძის გადაზიდვასა და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯი. 20 პროცენტიანი სასყიდელი არ მიეცემა, თუ განძი ისეთ საგანს წარმოადგენს რაც გამოირიცხულია ბრუნვიდან. აღმოჩენილი განძის და ნაპოვნი ნივთის ჩაუბარებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, როგორც ქონების მითვისებისათვის.

10. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლის შეცვლის შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს-ს 1927 წ. ნოემბრის 10 დად. №93—„კომუნისტი“ (ნოემბრ. 25 №267) შეცვლილია აღნაგობის ხელშეკრულების ვადა. ხელშეკრულება დაიდება ვადით 65 წლამდე—ქვის შენობისათვის, 60 წლამდე—შერეული, ხოლო 50 წლამდე—ხის შენობისათვის. შენიშვნა გაუქმდა.

11. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 72 მუხლისათვის შენიშვნის დამატების და ამავე კოდექსის 79 მუხლის შეცვლის შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს-ს 1927 წ. ნოემბრის 16 დადგ. № 97—„კომუნისტი“ ნოემბრ. 22 № 264). აღნაგობის უფლების ხელშეკრულების ასლს, ხელშეკრულების დაწინაშეების შემდეგ, სანოტარო ორგანო გაუზღავნის სანოტარო განყოფილებას რეგისტრაციისათვის. აღნაგობის უფლების გასხვისების და დაგირავების ხელშეკრულება, რათა ბათილი არ იყოს, ქმნილ უნდა იყოს 90 და 187 მ. წესისამებრ.

12. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს-ს 1927 წ. ნოემბრის 15 დადგ. № 96—„კომუნისტი“ ნოემბრ. 22 № 264). სესხის ხელშეკრულებისათვის პროცენტის უკიდურეს რაოდენობას, ცალკე კატეგორიის ვარიეტებისა და ცალკე რაიონისათვის დააწესებენ სრ. საქ. ს. კ. ს-ს ან, მისი რწმუნებულობით, აფხაზეთის და აჭარის ტანის ს. კ. ს-ს ობი და სამხრეთ-ოსეთის ც. ა. კ-ი ამ რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე.

13. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59 მუხლის შენიშვნის დანართის (, მოუფლეთლების გამო ქალაქად საცხოვრებელი შენობების მუნიციპალიზაციის შესახებ“) დამატების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს-ს 1927 წ. ნოემბრის 10 დადგ. № 59—„კომუნისტი“ დეკ. 2 № 273). თუ მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ იქნება ტფილისის საქალაქო ბანკში დაგირავებული საცხოვრებელი შენობა, გირავნობას ძალა არ ეკარგება.

14. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხ. დანართის გაუქმების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და

ს. კ. ს-ის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ. № 87—„კომუნისტი“ ოქტ. 25 № 241).

15. შენობების დემონიციპალიზაციის შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1927 წ. სექტემბრის 25 დადგ. № 84—„კომუნისტი“ ოქტ. 16 № 243). შენობების დემონიციპალიზაციის საკითხის გადაწყვეტა მიენდო მსზრალმასკომის პრეზიდიუმს. დადგენილება დემონიციპალიზაციის შესახებ, მოტივების აღნიშვნით, უნდა წარედგინოს ს. კ. ს-ს და ძალაში შედის მის მიერ დამტკიცებისათანავე.

16. სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის პუბლიკაციის შესახებ (საქ. ს. კ. ს-ს 1927 წ. ნოემბრის 1 დადგ.). დადგენილება გამოცემულია სსრ კავშირის ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ს მიერ 1927 წ. მაისის 11 დამტკიცებული დებულების (სსრ კავშ. კან. კრ. № 28, მუხ. 292) თანახმად. განცხადება საჯარო ვაჭრობის შესახებ უნდა დაიბეჭდოს ერთხელ: გაზ. „კომუნისტი“ სიტყვიერ შეჯიბრებამდე 7 დღით ადრე მაინც, ხოლო თუ ნარდად მუშაობის და გაყიდვა-მიწოდების ნავარუდები თანხა 100 000 მან. აღემატება—12 დღით ადრე, „კომუნისტი“ გარდა „ივესტიებშიაც“.

მიწის კოდექსი

17. მიწის კოდექსის 96 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ს 1927 წ. სექტემბრის 30 დადგ. № 86—„კომუნისტი“ ოქტ. 23 № 241). ამა ცვლილების ძალით, 96 მუხლისამებრ, ქალაქის მცხოვრებს, რომელსაც ქალაქის ფარგლებში აქვს სარგებლობისათვის წინანდელი სახაზინო მიწა, რაც საქართველოს ვასაბჭოებამდე მის საიჯარო შრომით სარგებლობაში იყო, როგორც საობროკო მიწა, მიწის ნორმა ამ მიწიდან დაეტოვება.

18. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთისათვის ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მოსაწყობად საჭირო მიწების მიცემის შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის 1927 წ. ოქტომბრის 17 დადგ. —„კომუნისტი“ ოქტ. 21 № 239). აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს ეძღვევა: ა) მიწის ზოლი სივანით სამ ბეტრამდე ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მოსაწყობად და 2) მიწის ნაკვეთები სივრცით 6-დან 10 ჰექტარამდე გადამტუმბავი სადგურების ასაგებად. ეს მიწა უნდა მიეცეს როგორც სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებიდან, საქალაქო მიწიდან, შრომის სარგებლობის მიწებიდან, აგრეთვე დაწესებულებებისა, საზოგადოებებისა, ორგანიზაციების და კერძო პირებისათვის მიჩენილ მიწებიდან. დადგენილებაში გათვალისწინებულია საჭირო მიწების მიჩენის და ჩამორთმევის წესი, მიწის მოსარგებლეთათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება და სხვ.

აშენისტია

19 სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ აშენისტიის თაობაზე 1927 წლ. ნოემბრის 2 თარიღით გამოცემული დადგენილების განხორციელების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის 1927 წ. ნოემბრის 10 დადგ. № 92—„კომუნისტი“ ნოემბრ. 11 № 25). იმ პირობა განთავისუფლება, რომელმაც დაბატირებული არიან სასამართლო დაწესებულებათა განაჩენით ან სახ. პოლიტიკური სამართველოს დადგენილებით და განთავისუფლებული უნდა იქნენ სსრკ ც. ა. კ-ის დადგენილებით, და ამ დადგენილების 1 პუნქტის შეფარდება და ეკისრა განსაკუთრებულ კომისიებს. სამხედრო მსახურთა განთავისუფლება დაეკისრა ა/კ წითელ დროშოვანი არმიის სამხედრო ტრაბუნალს, საქართველოს სსრ პროკურატურის წარმომადგენლის მონაწილეობით. აღმინისტრაციულ ორგანოთა დადგენილებით დატუსაღებულთა განთავისუფლება—საპატიმრო ადგილების აღმინისტრაციას, პრო-

კურატურის მეთვალყურეობით, იძულებითი მუშაობისაგან განთავისუფლება—იძულებითი მუშაობის ბიუროს, საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს საერთო მეთვალყურეობით.

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. კანონმდებლობა.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

კანონი

1. О дополнении постановлении Зак. ЦИК и СНК ЗСФСР от 28 февраля 1925 года о республиковании и времени вступления в силу законов и распоряжении правительства ЗСФСР а также распоряжении ведомств ЗСФСР (ა.კ. ც.ა.კ.ის დ. ს.კ.ს.-ის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნომბრ. № 1620). ეს დადგენილება ამიერ-კავკასიის მასშტაბით იმეორებს იმ ნორმებს, რაც სსრ კავშირის მთავრობის აქტებისათვის შემოღებული იქნა სსრ კავშირის ც.ა.კ.-ის და ს.კ.ს.-ის 1927 ივლისის 1 დადგენილებით (სსრ კავშ. კან. კრ. № 32, მუხ. 326). როდესაც ა/კ. ც.ა.კ.-ის, ხსნი პრეზიდიუმის, ს.კ.ს.-ის და უ. ეკოსოს კანონი და განკარგულება გამოცემულია როგორც დირექტივა ა/კ. ფედერაციის შემავლ რესპუბლიკების ც.ა.კ.-ისა, ს.კ.ს.-ის და ეკოსო-სადმი—ჩამოაყალიბონ ამ დირექტივის ნორმები რესპუბლიკანურ კანონმდებლობაში, ეს ნორმები განსახორციელებელი შეიქმნებიან მხოლოდ ამ რესპუბლიკების სათანადო საკანონმდებლო აქტების ძალაში შესვლის შემდეგ. თუ ა/კ. ც.ა.კ.-ის, ს.კ.ს.-ის და უ. ეკოსოს კანონის და განკარგულების შესრულება მთლად ან ნაწილობრივ შეუძლებელია, სანამ მისი კონკრეტულია ცილისა და დეტალიზაციისათვის არ გამოიცემა ა/კ. მთავრობის სხვა აქტი, მასშივე გათვალისწინებული, ეს კანონი ან განკარგულება განხორციელებულ უნდა იქნეს ამ აქტის ძალაში შესვლის შემდეგ. ყველა სხვა კანონი და განკარგულება, მათ შორის „სათუფლებად“ წოდებულიც აგრეთვე ისეთი კანონი და განკარგულება, რომლითაც რესპუბლიკების მთავრობათ წინადადება ეძლევათ შეიტანონ სათანადო ცვლილება თავიანთ კანონმდებლობაში, ძალაში შედის საერთო წესით, რომელიც გათვალისწინებულია 1925 წ. თებერვლის 28 დადგენილებით. თუ კანონსა ან განკარგულებაში არ იქნება აღნიშნული ის ვადა, რა ვადაზედაც რესპუბლიკების მთავრობებმა უნდა გამოსცენ თავიანთი დადგენილებანი, ეს უკანასკნელი გამოცემულ უნდა იქნენ არა უგვიანეს 2 თვისა დღიდან ფედერატიული კანონის ან განკარგულების გამოქვეყნების ან მიღებისა (თუ იგი გამოსაქვეყნებელი არ არის).

საერთო ღონისძიებანი

2. სსრ კავშირის ც.ა.კ.-ის 1927 წ. ოქტომბრის 15-ის მანიფესტის განხორციელების შესახებ) ა/კ. ც.ა.კ.-ის 1927 წ. ნომბრის 5 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნომბრ. №1621). ა/კ. ს.ფ.ს.რ.-ში შემავალი რესპუბლიკების ც.ა.კ.-ებს წინადადება ეძლევათ: ა) აცნობონ ა/კ. ც.ა.კ.-ს მოსახრებაში იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭირო იქნება იმისთვის, რათა მრეწველობის ამა თუ იმ დარგში შესაძლებელ იყოს ახლო მომავალშივე შეიღოს საათის სამუშაო დღის შემოღება ხელფასის შეუმცირებლად, ბ) აღნიშნონ ადგილები, სადაც მუშათა ბინების შენელობისათვის საჭიროა იმაზე მეტი თანხის გაღება, რაც ვადადებულია სახელმწიფო ბიუჯეტით, გ) დააწესონ მეთვალყურეობა, რათა ღარიბ გლეხთა მეურნეობა თავის დროზე და სწორედ განთავისუფლებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ვადასახადისაგან 1927/28 საბიუჯეტო წელში იმ წესის მიხედვით,

რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ც.ა.კ.-ის დ. ს.კ.ს.-ის 1927 წ. ოქტომბრის 21 დადგენილებით, აგრეთვე დააწესონ ულარიბესი გლეხობის იმ მოხუცებულ პირთა კონტინგენტი, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სახელმწიფოს მიერ, დ) სოფლის და საქარხნოსაფაბრიკო მოსახლეობის კულტურულად ასამაღლებლად დააწესონ, რა თანხის ასიგნება საჭირო სასკოლო მშენებლობისათვის. წინადადება ეძლევათ აგრეთვე გააუქმონ სისხლის სამართლის კოდექსებში სიკვდილით დასჯა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი დაწესებულია სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის და შეიარაღებული ყაჩაღობისათვის.

სტატისტიკა


3. О мерах содействия успешному проведению всесоюзной школьной переписи (ა/კ. ც.ა.კ.-ის 1927 წ. ნომბრის 1 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნომბრ. № 1623). დადგენილება გამოცემულია სსრ კავშირის ც.ა.კ.-ის და ს.კ.ს.-ის 1927 წ. აგვისტოს 10 დადგენილების შესასრულებლად (სსრ კავშ. კან. კრ. № 47, მუხ. 478) და ეხება 1927 წ. დეკემბრის 15-სათვის დანიშნულ აღწერას.

საბჭოთა არჩევნები

4. О производстве на территории ЗСФСР переборах советов и созыве съездов советов в 1928 году (ა/კ. ც.ა.კ.-ის 1927 წ. დეკემბრის 5 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ დეკ. 8 № 1646). ამ დადგენილების გამოცემა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 1927 წელს ამორჩეული საბჭოთა უფლებამოსილობის ვადა გადის ახლო მომავალში ა/კ. ში შემავალ რესპუბლიკების ც.ა.კ.-ებს წინადადება ეძლევათ: 1) შეუდგენენ საარჩევნო კომისიების მოწყობას, აგრეთვე არჩევნების და საბჭოთა ყრილობების მოწვევის სამზადისს; 2) საარჩევნო კომპანია დაიწყონ 1927 წ. დეკემბრის, ისე რომ იგი დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1928 წ. აპრილის პირველ ნახევრისა; 3) საარჩევნო კომისიის მოწყობისა, შემადგენლობისა და უფლებათა საკითხში იხელმძღვანელონ ა/კ. ც.ა.კ.-ის მიერ 1928 წლის არჩევნებისათვის გამოცემული ინსტრუქციით; 4) გამოსცენ საარჩევნო ინსტრუქციები, რომლებიც შეუფარდონ ა/კ. ც.ა.კ.-ის ინსტრუქციას და ყველა ცვლილება, რაც კი საჭირო იქნება ადგილობრივი პირობების გამო, შეიტანონ თავიანთ ინსტრუქციებში მხოლოდ ა/კ. ც.ა.კ.-ის პრეზიდიუმის წინასწარი დამტკიცებით; 5) პუბლიკაციები, უწყებები და ყოველგვარი მოწოდებანი ამომრჩეველთადმი გამოსცენ, სახელმწიფო ენის გარდა, ეროვნულ ენებზედაც, და აგრეთვე უზრუნველზყონ ამომრჩეველთ ყველა იმ უფლების სარგებლობა, რაც მინიჭებული აქვთ ა/კ. და რესპუბლიკების კანონმდებლობით ეროვნულ უმცირესობათა ენის შესახებ; 6) საარჩევნო კომპანიის დროს რეგულიარულად გზავნონ ა/კ. ც.ა.კ.-ის პრეზიდიუმს ინფორმაცია კომპანიის მსვლელობის შესახებ.

ამბია

5. О дополнении инструкции по осуществлению защиты правового и имущественного положения красноармейцев и их семей (ა/კ. ც.ა.კ.-ის და ს.კ.ს.-ის 1927 წ. ოქტომბრის 10 დადგ.—კან. კრ. № 19, მუხ. 217; „ზარია ვოსტოკა“ ოქტ. 25 № 1610). განმარტებულია, რომ ნებისად დაქირავებულ მოსამსახურედ (вольнораемный служащий) (მუხ. 6) ითვლება ის ვინც სამხედრო უწყებაში სამსახურისათვის თავისუფალი დაქირავებით არის მიწვეული (в порядке вольного наема) (დასახელებულია სხვადასხვა მუშა მოსამსახურე), და რომ სამხედრო პირთათვის მინიჭებული უპირატესობანი და შეღავათები მას ეძლევა წითელარმიელის წიგნაკის წარდ-



გენისამებრ, ან ადგილობრივი აღმასკომისაგან მიცემული ცნობისა, ან და წითელი არმიის იმ ერთეულისა და და-წესებულების მოწმობის წარდგენისამებრ, სადაც სამხედ-რო პირი მსახურობს. საპროკურორო ზედამხედველობის პირებმა თვალყური უნდა ადევნონ, რათა სამხედრო მსახურთა საქმეები თავის დროზე ირჩეოდეს სასამართლო-ში. თანამდებობის პირი, რომელიც არ მიიღებს ან დრო-ზე არ მიიღებს ღონისძიებას წითელარმიელის და მისი ოჯახის სამართლიანი ინტერესების დასაცავად პასუხის-გებაში მიიციემა ხელისუფლების უმოქმედობისათვის.

შ რ ო მ ა .

6. О праздничных днях и особых днях отдыха (ა/კ. ც. ა. კ-ის 1927 წ. დეკემბრის 5 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ დეკ. 10 № 1648). შეცვლილია შრომის კანონთა კოდექსის 111 და 112 მუხ. უქმე დღეებს დაემატათ: სექტემბრის 20—26 ბაქოელ კომისართა ხსოვნის დღე, ნოემბრის 8—პროლეტარულ რევოლუციის მეორე დღე და ა/კ. ს. ფ. ს. რ ა შ ი შემავალ რესპუბლიკების გა-საბჭოების დღეები: აზერბეიჯანის ტერიტორიაზე—აპრილის 28, სომხეთის—ნოემბრის 29 და საქართველოს—თებერვლის 25. იანვრის 22 ითვლება როგორც 1905 წ. იანვრის 9-ისა, ისე ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღედ. დაწესებულია ხუთი დასვენების დღე წელიწადში.

7. О героях труда (ა/კ. ც. ა. კ-ის და ს-კ. ს-ოს 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნოემბრის 12 № 1624). დადგინდება გამოცემულია სსრ კავშირის 1927 წ. ივლისის 27 დადგენილებასთან დაკავშირებით. შრომის გმირის წოდება ენიჭება ა/კ. ც. ა. კ-ის ან რესპუბლიკანური ც. ა. კ-ების პრეზიდიუმების დადგენილებებით, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების წარდგენისამებრ. შუამდგომლობა ა/კ. პროფკავშირთა საბჭოს წინაშე უნდა აღიძვრას რესპუბლიკანური პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისამებრ, ხოლო უკანასკნელის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის წესი განისაზღვრება სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით. რესპუბლიკანურ ც. ა. კ-ებს წინადადება ეძლევათ დააწესონ შრომის გმირთათვის საბინაო და სხვა შეღავათები.

8. О проведении государственного нормирования заработной платы в госбюджетных учреждениях в ЗСФСР (ა/კ. ს. კ. ო-ის 1927 წ. დეკემბრის 1 დადგ. № 56 — „ზარია ვოსტოკა“ დეკ. 3 № 1642). 1928 წ. იანვრის 15-დან ყველა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებაში, როგორც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში, ისე, მასში შემავალ რესპუბლიკებში, უნდა გატარდეს ხელფასის საქმე, მოკვარებულ უნდა იქნეს შემდეგ საფუძველზე: 1) შემუშავებულ უნდა იქნეს თანამდებობათა ნომენკლატურა და დახასიათება; 2) ამ ნომენკლატურის მიხედვით შემუშავებულ უნდა იქნეს მტკიცე შტატები და 3) თვითუფლები საშტატო თანამდებობისათვის ჯამაგირი უნდა დაწესდეს მტკიცე განაკვეთით. ნომენკლატურას და დახასიათებას ამუშავებს ა-კ. მ-გ. ინსპექციის სახკომი, შტატებს აწესებენ ა-კ. და მასში შემავალ რესპუბლიკების მ-გ. ინსპექციის სახკომები; გაერთიანებულ უწყებათა და ა-კ. ცენტრალურ დაწესებულებათა შტატებს—ა-კ. მ-გ. ინსპ. სახკომი, ხოლო არა გაერთიანებულ დაწესებულებათა შტატებს—რესპუბლიკანური მ-გ. ინსპ. სახკომები. განაკვეთებს აწესებენ შრომის სახკომები, ფინსახკომები, მ-გ. ინსპექციებთან და პროფკავშირთა საბჭოებთან შეთანხმებით. შტატების და განაკვეთების პროექტებს თავდაპირველად ამუშავებენ დაწესებულებანი და უწყებანი. ერთხელ დაწესებული შტატის გადიდება მომავალში შესაძლებელი იქნება მხოლოდ მ-გ. ინსპექციის დამტკიცებით. ხელფასის დანორმება უნდა მოხდეს ხელფასის იმ ფონდის ფარგალში, რაც გათვალისწინებულია 1927/28 წლის ბიუჯეტით (ზოგიერთ თანამდებობისათვის შეიძლება ბიუჯეტ-გარეშე

სახსრის გამოყენება) ფაქტიურად არსებული ხელფასის მიხედვით. აღმინისტრაციას არ ექნება უფლება გაადიდოს ან შეამციროს ამ წესით შემოღებული განაკვეთები.

9. Об оплате командировочных участникам съездов, конференций, пленумов и совещаний (ა-კ. ც. ა. კ-ის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნოემბ. 4 № 1611). საბჭოთა ყრილობის წევრი გზაში იღებს დღიურ სახარჯოს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს თვიური ჯამაგირის 1/30 ს. ვისაც მუდმივი ჯამაგირა არა აქვს, ის დღიურ სახარჯოს იღებს მაზრალ-მასკომის პრეზიდიუმის ჯამაგირის 1/30-ის რაოდენობით. საბჭოთა ყრილობის წევრს საქმელ-სასმელი და ბინა ეძლევა ნატურად ან ფულად. ც. ა. კ-ების წევრები სესიების დროს გასამრჯელოს იღებენ ც. ა. კ-ების დებულებებში აღნიშნული წესისამებრ. ყრილობის წევრს და ც. ა. კ-ის წევრს ყრილობაზე და სესიაზე მისვლისა და დაბრუნებისათვის ეძლევა სამგზავრო ფული რბილი ვაგონის ტარებით. სა-უწყებო ყრილობების, კონფერენციების, თათბირების და სხვ. წევრის გასამრჯელოს იღებენ თანახმად სსრ კავშირის ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1927 წ. იანვრის 14 დადგენილებისა სამსახურებრივი წარვლინების შესახებ (სსრ. კავშ. კან. კრ. № 4, მუხ. 42). მუშას—საბჭოთა ყრილობის წევრს ან საუწყებო ყრილობის, თათბირის და კონფერენციის წევრს—რომელიც გზაში და ყრილობის თათბირის და კონფერენციის ადგილას ყოფნის დროს ჯამაგირს საწარმოიდან არ იღებს, სამგზავრო ფულისა, საქმელ-სასმლისა და ბინის გარდა, ეძლევა დღიური სახარჯო მისი საშუალო ხელფასის 1/30-ის რაოდენობით. დღიურ სახარჯოს გზაში და სამგზავრო ფულს იძლევა ის ორგანო, დაწესებულება და საწარმო, რომელიც ჰგზავნის დელეგატს, ხოლო საქმელ-სასმელს ან ბინას ყრილობის, კონფერენციის ან თათბირის ადგილას—ის, რომელიც აწყობს ყრილობას და სხვ.

10. Об изменении постановления СНК ЗСФСР о премировании лесной стражи и милиции за обнаружении самовольных порубок (ა-კ. ს. კ. ს-ოს 1927 წ. ოქტომბრის 10 დადგ. № 51—კან. კრ. № 19, მუხ. 219; „ზარია ვოსტოკა“ ოქტ. 25 № 1610). დაწესებულია ტყის მცველების და მილიციის დაჯილდოება იმ პირთა აღმოჩენისათვის, რომელნიც ტყეს თვითნებისათ სჩეხავენ ან უკანონოდ სარგებლობენ (წინანდელი რედაქციით დაჯილდოებისათვის საჭირო იყო უკანონოდ მოქრილი ტყის აღმოჩენა).

11. О льготах для органов социального страхования (ა-კ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ.—კან. კრ. № 19, მუხ. 224, „ზარია ვოსტოკა“ ოქტ. 30 № 1615). სოცდაზღვევის ორგანოები, მათი კუთვნილი დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები და საინვალიდო დაწესებულებანი განთავსდებიან ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან, ხოლო კომუნალური სამსახურის სასყიდლის მხრივ გათანაბრებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან. ამ დასასვენებელ სახლებზე, სანატორიუმებზე და საინვალიდო დაწესებულებებზე გავრცელებულია 1 მუხლი ა-კ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1926 წ. ივლისის 5-ის დადგენილებისა პროფესიონალურ კავშირთა მიერ სანატორიუმებისა, დასასვენებელი სახლებისა და სათანადო სამკურნალო დაწესებულებათათვის დაქერილ სადგომებში ქირის აღების აკრძალვის შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 7, მუხ. 688).

სახალხო მუშრნობა.

12. О конъюнктурных наблюдениях плановых органов (ა-კ. ს. კ. ს-ოს 1927 წ. ოქტომბრის 20 დადგ. № 52—კან. კრ. № 19; „ზარია ვოსტოკა“ ოქტომბ. 28 № 1613). ა-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინადადე-

ბა ეძლევა გააძლიეროს მუშაობა ა-კ. სახალხო მეურნეობის საკონიუნქტურო დაკვირვების დარგში და იხელმძღვანელოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამისო დირექტივებით, ხოლო სახკომებს, უწყებებს და ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ ხელი მეურნეობის საგეგმო კომისიას ამ მუშაობისათვის. ა-კ. საგეგმო კომისიას ეკისრება რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობაც ამ დარგში.

ვაჭრობა და მრეწველობა

ტრესტები

13 და 14. Об изменении ст. 8 постановления СНК ЗСФСР от 2 апреля 1925 года о порядке рассмотрения балансов и распределения прибылей гос. предприятий (ა-კ. ს. კ. ს-ოს 1927 წ. ოქტომბრის 20 დადგ. „ზარია ვოსტოკა“ ნომბრის 13 № 1625) Об изменении ст. 5 того постановления (1927 წ. ნომბრის 15 დადგ. № 54 — „ზარია ვოსტოკა“ დეკ. 1 № 1640). სახელმწიფო საწარმოთა მოგების განაწილების დროს მიღებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ: ა) სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის — სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების 46 მუხლი (დებ. დამტკიცებულია სსრკ კავშირის ც. ა. კ.-ის და ს. კ. ს-ის მიერ 1927 წ. ივნისის 29 — სსრკ კან. კრ. № 39, მუხ. 392), ხოლო ბ) სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთათვის — სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებათა დებულების მე-11 და 12 მუხლი (დებ. დამტკიცებულია სსრ კავშირის ც. ა. კ.-ის და ს. კ. ს-ოს 1927 წ. აგვისტოს 17 — სსრკ კან. კრ. № 49, მუხ. 502).

მკორე დადგენილება ეხება ბალანსების განსახილველად ა-კ. ფინსახკომთან დაარსებული საუწყებათაშორის კომისიის კომპეტენციას და შემადგენლობას.

15. О согласительных комиссиях по разрешению разногласий, возникающих при заключении и выполнении генеральных договоров и других соглашений между кооперацией и предприятиями государственной промышленности в ЗСФСР (ა-კ. ს. კ. რ-ის დეკემბრის 1 დადგ. № 57 — „ზარია ვოსტოკა“ დეკ. 14 № 1651). შემთანხმებელი კომისიები არსდებიან ა-კ. ვაჭრობის სახკომთან და მის რწმუნებულებთან რესპუბლიკებში განსაზღვრული ქვემდებარებით. თუ შეთანხმება კომისიაში არ იქნა მიღწეული, საკითხს სწყვეტენ ა-კ. ან და რესპუბლიკათა ფინსახკომები, რომელთა დადგენილებაზე პროტესტი შეიძლება შეტანილ იქნეს უეკოსო ან ეკოსოში კუთვნილებისამებრ.

კოოპერაცია

16. О порядке регистрации уставов потребительных обществ и их союзов (ა-კ. ს. კ. ს-ოს 1927 წ. ნომბრის 17 დადგ. № 55 — „ზარია ვოსტოკა“ ნომბრის 29 № 1638) დადგენილება გამოცემულია სსრ კავშირის ც. ა. კ.-ის და ს. კ. ს-ოს 1924 წ. მაისის 20 თარიღით „სამომხმარებლო კოოპერაციის თაობაზე“ გამოცემული დეკრეტის მე-13 მუხ. თანახმად („ეკტნიკი“ № 5, მუხ. 172), საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში ა-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულებთან, ხოლო აფხაზეთში — რწმუნებულის წარმომადგენელთან არსდებიან სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების სარეგისტრაციო კომისიები. ა-კ. ვაჭრობის სახკომთან არსდება ცენტრალური კომისია სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირების სარეგისტრაციოდ; ამავე კომისიას ეკალდება ისეთ სამომხმარებლო საზოგადოებათა რეგისტრაცია, რომელთა მოქმედების რაიონი სცილდება ა-კ. ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის ტარგალს. ცენტრალური კომისია აგრეთვე ხელმძღვანელობას უწყვეს რესპუბლიკანურ კომისიებს და იხილავს მათ დადგენილებაზე

შეტანილ საჩივრებს და პროტესტებს. სამი დღის განმავლობაში დღიდან კომისიის დადგენილებისა წესდების რეგისტრაციისა ან წესდების ცვლილებისა თუ დამატების რეგისტრში ჩანიშნვის შესახებ. სათანადო ცნობები ჩაიწერება რეგისტრში. თუ კომისია ერთი თვის განმავლობაში არ გამოიტანს დადგენილებას არც რეგისტრაციის და არც რეგისტრაციისაზე უარის თქმის შესახებ, ორგანიზაცია რეგისტრაციამწიფოდ ჩაითვლება, კომისიას უფლება აქვს უარი სთქვას რეგისტრაციისაზე, თუ საზოგადოების წესდება და მისი ცვლილება დამატებანი ან დამფუნდებელთა შემადგენლობა არ შეეფერებინან კანონს ან და თუ საზოგადოების წევრთა რიცხვა არ შეეფერება დაწესებულ ნორმას. კომისიის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ კომისიაში, ხოლო ცენტრალური კომისიის დადგენილება — ა-კ. ვაჭრობის სახკომის კალეფიაში. კომისიებს უფლება აქვთ ზედამხედველობა გაუწიონ რეგისტრაციამწიფო ორგანიზაციებს, თუ რამდენად ანხორციელებენ იგინი საკოოპერაციო საქმეს; თუ ორგანიზაციამ გადაუხვია წესდებაში აღნიშნულ მიზანს და სახელმწიფოს ინტერესს ავნებს, კომისიას უფლება აქვს აღძრას საკითხი მისი ლიკვიდაციის შესახებ.

სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებად რომელნიც სხვა ორგანოთა რეგისტრაციისაში იქნენ გადატანილი, უნდა გაუკეთდეს ხელახალი რეგისტრაცია 1928 წ. მაისის 1-დღე. ურეგისტრაციოთ დარჩენილ ორგანიზაციას ლიკვიდაცია გაუკეთდება.

ბჟის მუშაობა

17. Об изменении ст. 3 постановления Зак. ЦИК и СНК ЗСФСР от 27 марта 1927 года о специальных средствах на лесокультурные работы (ა-კ. ც. ა. კ.-ის და ს. კ. ს-ოს 1927 წ. დეკემბრის 5 დადგ. — „ზარია ვოსტოკა“ დეკ. 9 № 1647). საქირე ფანის საპროცენტო დანარიცხის უმაღლესი საზღვარი ფოთლიანი ჯიშის ხეებისათვის აწეულია 15%-მდე (10 პროც. ნაცვლად).

ფულის მუშაობა

18 და 19. Положение о Водно-техническом совете при управлении Закавказского водного хозяйства и Положение о Водно-технических совещаниях при республиканских управлениях водного хозяйства. (დამტკიცებულია ა-კ. ს. კ. ს-ოს 1927 წ. სექტემბრის 22-ს თარიღის და 49 და 50 ნომრების დადგენილებებით (ა-კ. კან. კრ. № 18, მუხ. 209 და 210; „ზარია ვოსტოკა“ ოქტ. 4 და 5, № 1592 და 1593). ორივე ეს დებულება გამოცემულია „ამიერ-კავკასიაში წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოთა დებულების მე-IX განყ. ბოლო ნაწილის და მე-XII განყ. თანახმად (კან. კრ. № 17, მუხ. 203). როგორც საბჭო, ისე თათბირიც არის ტენიკური ორგანო, რომლის კომპეტენციას შეადგენს წყალთა მეურნეობისათვის საჭირო საშუაოს ტენიკური პროექტების და ხარჯთაღრიცხვების და ამ მეურნეობის უმთავრესი ტენიკური საკითხების განხილვა. საბჭო — ა-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ორგანოა, ხოლო თათბირი — რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს ორგანო. როგორც საბჭოს, ისე თათბირის გადაწყვეტილებას ამტკიცებს წყალთა მეურნეობის სათანადო სამმართველოს უფროსი.

ტრანსპორტი

20. Положение о порядке осуществления Народным Комиссариатом Путей Сообщения общего надзора за состоянием и содержанием шоссейных и грунтовых дорог местного значения в ЗСФСР. (დამტკიცებულია ა-კ. ც. ა. კ.-ის და ს. კ. ს-ოს 1927 წ.

სექტემბრის 19 დადგენილებით—ა.კ. კან.კრ. № 19, მუხ.216; „ზარია ვოსტოკა“ ოქტ. 22 № 1608). ამ დებულების თანახმად, საერთო ტენიკურ ზედამხედველობას იმისთვის, თუ რა მ გამოარებაშია და როგორ იხანება ამიერ კავკასიაში ადგილობრივი მნიშვნელობის გზა-ტკეცილები და შარა-გზები, აგრეთვე ამ გზების გაყვანის და ექსპლოატაციის ტენიკური და ნორმატიული მხარის მოწესრიგებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გზების რივიანი შენახვა, მიმოსვლის უშიშროება და გზების სარგებლობის წესი,— გზათა სახალხო კომისარიატი ანოცციელებს ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს, ა.კ. საოლქო სამმართველოს და რესპუბლიკანური სამმართველოს მეშვეობით. დებულებაში განმარტებულია, რას ჰგულისხმობს საერთო ტენიკური ზედამხედველობა გზების მდგომარეობისა და შენახვისათვის, რა და რა უფლება-მოვალეობა აქვთ ამ დარგში და ა.კ. საოლქო სამმართველოს და რესპუბლიკანურ სამმართველებს, რაში უნდა გამოიხატოს გზების გაყვანისა და ექსპლოატაციის ტენიკური და ნორმატიული მხარის მოწესრიგება. ამ ფუნქციების შესრულებისათვის გადაიდება ერთი პროცენტი იმ თანხიდან, რაც ფაქტიურად დახარჯულ იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა გაყვანისათვის.

ფინანსები.

21. **О специальных средствах учреждений, состоящих на государственном бюджете.** (ა.კ. ც. ა. კ.ის და ს.კ.ს.ოს 1927 წ. ნოემბრის 15 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნოემბრ. 30 № 1639). დადგენილება გამოცემულია სსრ კავშირის ც.ა.კ.ის 1927 წ. მარტის 23 დადგ. მე-10 მუხ. თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 16, მუხ. 173). სპეციალური სახსარი შესდგება იმ შემოსავლიდან, რაც, საკანონმდებლო ორგანოთა სპეციალური დადგენილების თანახმად, დაწესებულებას შეუძლიან, სახელმწიფო ბიუჯეტში გაუტარებლად, დახარჯოს ამ სპეციალური დადგენილებით განსაზღვრული მიზნისათვის. უფლება სპეციალურათ სახსარი იქონიონ დაწესებულებებს ეძლევათ ა.კ. ს.კ.ს.ოს დადგენილებებით. სპეციალური სახსრის თვითიული სახისათვის დაწესებულება უნდა ადგენდეს წლიურ შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც უწყების საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვასთან ერთად ედგინება ფინსახკომს განხილვისა და დამტკიცებისათვის. ცალკე ვათვალისწინებულია შემთხვევა, თუ ხარჯთაღრიცხვა საბიუჯეტო წლის დადგომამდე არ იქნება დამტკიცებული ან წარდგენილი. სპეციალური სახსრები იხანება ფინსახკომის სალაროში ან სახზანკის დაწესებულებაში პროცენტთან სახელ-

დახელო ანგარიშზე და იხარჯება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად.

22. **О разъяснении постановлений Зак цик и СНК ЗСФСР о предоставлении налоговых льгот жителям г. г. Шемахи, Гори и Ахалкалаки** (ა.კ. ცაკის 1927 წ. ნოემბრის 15 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნოემბრ. 19 № 1630). განმარტებულია, რომ სიტყვა „შენობა“ ამ დადგენილებათა 1 მუხლებში (კან. კრ. 1926 წ. № 6, მუხ. 40; № 10, მუხ. 501; 1926 წ. № 4, მუხ. 621) გულისხმობს საცხოვრებელ შენობას.

23. **О дополнении ст. 11 положения о местных финансах в ЗРФСР** (ა.კ. ც. ა. კ.ის და ს. კ. ს.ის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნოემბ. 10 № 1622). ადგილობრივ სახსრიდან გაღებულ უნდა იქნეს ხარჯი საბჭოთა პერიოდიულ პრესის ადგილობრივ ორგანოთათვის სუბსიდიის მისაცემად. დადგენილება ძალაში შედის 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

24. **Об изменении п „м“ ст. 23 положения о местных финансах в ЗСФСР** (ა.კ. ც. ა. კ.ის და ს. კ. ს.ის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ ნოემბ. 13 № 1625). ადგილობრივ სახსრად ჩაირიცხება 100% სასამართლოს ბაჟი იმ საქმეებზე, რასაც იხილავენ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სასამართლო დაწესებულებანი, და ის ბაჟიც, რაც შეტანილ იქნება ამ სასამართლოთა გადაწყვეტილების განსაზღვრების დროს. დადგენილება ძალაში შედის 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

25. **О дополнении ст. 23 и изменении ст. ст. 27 и 39 положения о местных финансах в ЗСФСР** (ა.კ. ც. ა. კ.ის და ს. კ. ს.ის 1927 წ. ოქტომბრის 10 დადგ.—კან. კრ. № 19, მუხ. 218; „ზარია ვოსტოკა“ ოქტ. 25 № 1610). ადგილობრივ სახსრად ჩაირიცხება ბირჟის გარეშე დადებული გარიგების სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოსაღების ანარიცხი ამ გამოსაღების 2/3 რაოდენობით; ადგილობრივ საბჭოს უფლება აქვს ადგილობრივი სახსრის გასაძლიერებ რად დაბეგროს გადასახადით ბირჟაზე დადებული გარიგებანი. ამ გარიგების გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს: ა) საქონლის ბირჟაზე დადებული გარიგებისათვის-გარიგების თანხის 0, 1%, ხოლო საფონდო ბირჟაზე და საქონლის ბირჟის საფონდო განყოფილებაში დადებულ გარიგებისათვის—გარიგების თანხის 0, 05%. ამ გადასახადისაგან განთავისუფლებულია გარიგება, რომლის საგანი არის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, სსრ კავშ. ფინსახკომის მოკლევადიანი სავალდახდელო ვალდებულებანი და სახელმწიფო საშრომო შემნახველი სალაროს სერტიფიკატები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანძირკო იურიდიული წრე.

საბჭოთა საზოგადოებრიობა სოციალისტური მშენებლობათა განვითარებისათვის, საჭიროებს სათანადო კვალიფიკაციურ მუშაკების მომზადებას, ასეთთა შეიარაღებას იურიდიული და პრაკტიკული ცოდნით, რომ ხელი შეუწყოს სოციალიზმის მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინებას ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ არის, რომ ჩვენს ეპოქაში დღეს დიდ როლს თამაშობს ეგრეთ წოდებული „კულტურული რევოლუციის“ საკითხები. ჩვენ ეხლა ისეთ სამეურნეო განვითარების დონემდე მივალწიეთ, რომ გვემინი მეურნეობის მშენებლობა წარმოუდგენელია სათანადო კვალიფიკაციური კადრების გარეშე, ეს არის ეკონომიკის უშუალო და პირდაპირი ადგილი. ინდუსტ-

რიალიზაცია და სოციალისტური განზოგადოება წარმოებისა ჰგულისხმობს მასის კულტურული და კვალიფიკაციური დონის აწევას. მშენებლობისადმი და რაციონალიზაციისადმი ხელის შეწყობა, აი საქმე, რომლისაგან უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი უმაღ. სასწავლებელთა პრინციპი. აღნიშნულ მიზანს ემსახურება ეხლახან დაარსებული უნივერსიტეტის იურიდიული წრე, რომელიც ჩამოყალიბებულია სტუდენტთა აღმასბიუროს მიერ იუსტიციის მუშაკებთან ერთად. წრის მიზანია დაამუშავოს თანამედროვე სამართლის პოზიტიური ნორმები,—განსაკუთრებით კი საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის საკითხები, დაამყაროს მჭიდრო კავშირი იუსტიციის კომისარიატთან უშუალო ბრაქტიკული საქმიანობით, წრის კონსტრუქცია შემდეგ საფუძველზე არის აგებული: ყალიბდება სამი ძირითადი სექტორი: ა) საგამომიებლო ბ) სამოსამარ-

თლო გ) საპროკურატურო. აგრეთვე იყოფა ორ ძირითად ნაწილად: სისხლის სამართლის და სამოქალაქო. სათანადო სექტორებში ხელმძღვანელებათ მოწვევულნი არიან, როგორც უნივერსიტეტის ისე იუსტიციის მუშაკებიდან გამოცდილი ძალები. წესდების მიხედვით ერთ-ერთ სექტორში მუშაობა წრის წევრისათვის სავალდებულოა. ჩაწერა შეუძლიათ, როგორც სტუდენტობას და იუსტიციის მუშაკებს, ისე სამართლის საკითხით ყველა დანეტერესებულ პირებს. წრეში მოეწყობა აგრეთვე ცოცხალი პროცესები, ამხანაგები გაეცნობიან იურისპრუდენციის ტენიკას და პარალელურად—დაამუშავებენ თეორეტიულ საკითხებს, რაც ჩვენის აზრით ღრმით შეუწყობს ხელს იუსტიციის კომისარიატისათვის სათანადო კვალიფიკაციური კადრების მომზადებას. იუსტიციის კომისარიატი კი ყურადღებით უნდა მოეპყროს იურიდიულ დარგის სტუდენტობის მომზადებას, მან აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს სტუდენტობას, რომ ეს უკანასკნელი უნივერსიტეტის კედლების შემდეგ ჩაებან პრაქტიკულ საქმიანობაში, დაუკავშირდენ სასამართლო აპარატს, მისცეს სასამართლოს კვალიფიკაციური მუშაკები და ამით კი განმტკიცდება რევოლუციური კანონიერება.

ბ. კინჭარაძე

ქ რ ო ნ ი კ ა.

დაწესებულებათა და საწარმოთა იურისკონსულტების თათბირები.

სრულიად საქ. საბჭ. ცაკის და სახკომსაბჭოს ა/წ. 22 აგვისტოს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის მოთხოვნის შესასრულებლად იუსტიციის სახალხო კომისარიატში სწარმოვებამ მუშაობა იმ საკითხის გასაშუქებლად და გადასაწყვეტად თუ რა ფორმაში უნდა ჩამოყალიბდეს ქ. ტფილისში რესპუბლიკის პროკურორთან, ხოლო სხვა ადგილებში—ადგილობრივ პროკურორებთან დაწესებულებათა და საწარმოთა იურისკონსულტების თათბირები. კანონის ძალით ამ თათბირების მიზანია ხ' ენებულ იურისკონსულტების პრაქტიკული მუშაობის გაერთიანება და აგრეთვე ისეთი საკითხების გამოარკვევა, რომელნიც უფლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ. მოკლე ხანში დამთავრებულ იქნება ინსტრუქციის პროექტი, რომელიც რესპუბლიკის პროკურორის მიერ დამტკიცების შემდეგ გამოიცემა თათბირებისთვის სახელმძღვანელოდ.

საქართველოს ს. მ. უ. ს.-თან არსებულ სახელმწიფო მრეწველობის იურისკონსულტთა ბიუროს მოღვაწეობის შესახებ.

1925 წ. ტფილისის ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებათა იურისკონსულტებს შორის დაიბადა აზრი იურისკონსულტთა ბიუროს დაარსების შესახებ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სადაო იურიდიულ საკითხების საერთო ძალით განხილვა და მათ შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ეს აზრი განხორციელებულ იქნა მხოლოდ 1926 წლის დამლევს. წინასწარ თათბირის შემდეგ გადაწყდა დაარსებული ყოფილიყო სა.ხ მურ. უმად. საბჭოსთან ბიურო, სადაც უმთავრესად გარჩეულ და განხილულ იქნებოდა საკითხები სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის დარგიდან. მართლაც გამომუშავდა ბიუროს დებულება, რომელიც დამტკიცებულ იქნა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ 1926 წ. 23 დეკემბერს. მუშაობა დაიწყო ბიურომ 1927 წ. დასაწყისში. ამა წლის 7 იანვარს შესდგა ბიუროს საორგანიზაციო კრება, სადაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი სამი წევრისაგან. პრეზიდიუმში შევიდნენ: ლ. ანდრონიკაშვილი, ა. კუსიკოვი და ს. ჩხეიძე, თერთმეტი თვეა, რაც მუშაობს ბიურო. ამ ხნის განმავლობაში შესდგა 14 საერთო კრება, სადაც განხილულ იქნა ბევრი ფრიად საინტერესო საკითხები. მოხსენებებით გამოვიდნენ: ა. კუსიკოვი, მ. ქორქაშვილი,

ბ. კედროვსკი, პ. ქავთარაქე, შ. დადიანი, ზ. ნარიშკინი და ს. ჩხეიძე. კრებები ტარდება დიდი ხალისით.

იანვარში მოხდება წლიური კრება. ბიუროს მოღვაწეობის ვრცელი ანგარიში დაბეჭდილ იქნება ჟურნალის შემდეგ ნომერში.

იურიდიული წრე სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა იურიდიული წრე. საერთო კრების მიერ არჩეულია გამგეობა, სარევიზო კომისია და დამტკიცებულია წესდება. გამგეობაში არჩეულნი არიან ირ. სურგულაძე, ი. ძაძამია, ი. ბერიშვილი, ნ. კინჭარაძე, ჩიჭოვანი და სხვ. წრის საპატიო გამგეობის წევრებათ არჩეულნი არიან ი. ვარძიელი, ალ. კაჭარავა, ს. მეგრელიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, ა. ვაჩიშვილი და სხვ. გამოყოფილია პრაქტიკული მუშაობისათვის სამი სექტორი: 1) საგამომძებლო 2) საპროკურატურო 3) სამოსამართლო; იმართება აგრეთვე საჯარო სხდომები, სადაც აშუქებენ თეორიულ საკითხებსაც. წრეში ჩაწერა გრძელდება.

საქართველოს იურიდიული საზოგადოება.

ამ მოკლე ხანში განხლდება საქართველოს იურიდიული საზოგადოების მუშაობა, რომელიც სხვადასხვა ობიექტიურ მიზეზების გამო დღემდე შეჩერებული იყო. განზრახულია იურიდიულ საზოგადოებაში სისტემატიურად ირჩეოდეს ხოლმე ის პროექტები, რომელსაც იმუშავებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

რ ე ღ ა მ ტ ი ი ს ა გ ა ნ .

ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომრებში ჩვენ ვეცდებით მოვათავსოთ მოკლე ანგარიშები ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დარგის სემინარებში და იურიდიულ წრეში წარმოებულ მუშაობისა.

ვიზიოგრაფია.

Проф. Ал. Малицкий „Советское Государственное право“.

გვ. 319. ფ. 2 მ. გამოც. 1926 წ.

საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კურსის საჭიროებას დიდად განიცდის ჩვენი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები. რამდენიმე ცდა, რომელსაც ადგილი აქვს ამ დარგში, ჯერ კიდევ ვერ იძლევა შესაფერ ნაყოფს. ეს არც საკვირველია. საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კურსის დალაგების დროს საჭირო ხდება სახელმწიფო სამართლის მთელი სისტემის კრიტიკული დაძლევა და ახალი მსოფლგაგების, მარქსიზმისა და ლენინიზმის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ დაუშუშავებელი დარგის ჩამოყალიბება.

საერთოდ, ბურჟუაზიულ სამართლის მეტყველებაში, სამართლის თეორიაში და კერძოდ სახელმწიფო სამართლის დარგში, არც ერთი ძირითადი საკითხი არ არის ყველასათვის მისაღებ ჭეშმარიტებად გამხდარი. თვით ბურჟუაზიული იურისტები, ერთ კლასობრივ თვალსაზრისზე მდგარი, ერთი იდეოლოგიური საზომით გამოხილველნი სახელმწიფო სამართლის პრინციპების, ვერ პოულობენ, საერთო ენას, საერთო დასკვნებს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ საბჭოთა იურისტს, სახელმწიფო სამართლის მკვლევარს, თავდაპირველად უხდება ბურჟუაზიულ უამრავ თეორიათა კრიტიკული დაძლევა ყოველი მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ და სრულიად ახალი თვალსაზრისით, რომელსაც ჯერ არ ჰქონია ადგილი სახელმწიფო სამართლის დარგში, აღებულ პრობლემების განხილვა. ეს გარემოება იწვევს იმ თავისებურობას, რომლის შედეგათ ვიღებთ საბჭოთა სახელმწიფო სამართლის სხვადასხვა სახით დალაგებას (პროფ. გურვიჩი, პროფ. ენგელი, სტუჟკა, პრ. მალიცკი და სხ.).

საბჭოთა სახელმწიფო სამართლის მკვლევართ აერთიანებს კლასობრივი თვალსაზრისი, აღებული დარგის ისტორიულ მატერიალიზმის მსოფლმხედველობით განხილვით ცდა. ამ საერთო თვალსაზრისს გარდა, ისინი ღრმად შორდებიან ერთმანეთს, როგორც მასალის მეთოდური დალაგების, ისე იურიდიული აზროვნების მხრივ.



პროფ. მალიციის წინამდებარე შრომა წარმოადგენს უკანასკნელ ცდას საბჭოთა სახელმწიფო სამართლის დარგში. ამ ცდას დიდი უპირატესობანი აქვს მის წინამორბედ ცდებთან შედარებით, თუმცა ისიც არ არის თავისუფალი მნიშვნელოვანი დეფექტებისაგან.

დაეწყოთ დეფექტების აღნიშვნით. ავტორი იწყებს „პროლეტარიატის და სამართლის“ საკითხის გარჩევით, არკვევს სამართლისა და სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს, მაგრამ სრულიად შეუსწავლელად სტოვეებს სამართლისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს.

სახელმწიფო სამართლისთვის საერთოდ და საბჭოთა სახელმწიფო სამართლის შესწავლისთვის კერძოდ, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბურჟუაზიულ იურიპრუდენციაში ჩვენ ვხვდებით ამ საკითხის მიჩქმალვის ცდას, თავდაპირველად სახელმწიფოს ცნებისა და მისი იურიდიულ ბუნების გაშუქებას გარკვეული თვალსაზრისით და შემდეგ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის დასმას; რაც პირველი საკითხით წინასწარ უკვე გადაჭრილია უკანასკნელი. ბურჟუაზიულ იურიპრუდენცია საკითხის ამრიგად დაყენებით შესანიშნავად ჭეშრავს სახელმწიფოს წარმოშობის სოციალ. კლასობრივ ხასიათს და სახელმწიფოს ბუნების „წმინდა იურიდიული“ გარკვევით, ასეთსავე გარკვევას აძლევს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხსაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავდაპირველი და გენერალური საკითხი საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კურსისთვის არის საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის. აქ თავიდანვე საუკეთესოდ შეიძლება სახელმწიფოს წარმოშობის ბურჟუაზიული ახსნის უსაფუძვლოების დამტკიცება, გარკვევა უმთავრესი თეორიების, რომლებიც სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზს ეძებენ დმერთში, ძალაში, ხელშეკრულებაში, (თეოლოგიური, დაპყრობის, ხელშეკრულების თეორიები და სხ.) და გათვალისწინება იმ კლასობრივი უთანხმოების, რომელიც საფუძვლად დაედო იძულებითი ორგანიზაციის აღმოცენებას.

ამრიგად, როდესაც გამოჩვეულია სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, მაშინ გადავიღებულა სახელმწიფოზე სოციალური სწავლის აგება, ე. ი. სახელმწიფოს შესწავლა არა მარტო ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, არამედ სოციალ-პოლიტიკურით, რაც მთავარია საბჭოთა სახელმწიფოს შესწავლის დროს.

ავტორი ამ საკითხს სულ უყურადღებოდ სტოვეებს. ჩვენ ვფიქრობთ ეს უმეტესად ნაკლია შრომის. ავტორი მეორე თავში, სადაც ის არკვევს „მარქსისტულ სახელმწიფოს თეორიას“, ეხება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს, მაგრამ ეხება „გაკერით“, არ არკვევს სრულიად მოწინააღმდეგე თეორიებს, არც ასაბუთებს მარქსისტულ თეორიას იმ მასალით, რასაც საკმაოდ იძლევა ენგელსი და მარქსი.

ამას გარდა ავტორი სახელმწიფოს ცნებას არ აძლევს მტკიცე განსაზღვრას. აქ ის იზიარებს საბჭოთა იმ იურიისტების შეცდომას, რომლებიც სახელმწიფოს განსაზღვრავენ მხოლოდ სოციალური მხრივ, მხოლოდ კლასობრივი თვალსაზრისით და უყურადღებოდ სტოვებენ სახელმწიფოს ელემენტების შესწავლას, რომელსაც ფრ. ენგელსი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის დროს გარკვევით და ხაზგასმით აღნიშნავდა. ავტორი სახელმწიფო ელემენტების ტერიტორიისა და ხალხის შესახებ არაფერს ამბობს. ეს დუმილი მით უფრო მათუტეველია, რომ ტერიტორიისა და ხალხის ცნება დიდ სადაო საკითხს წარმოადგენს სახ. სამართლის დარგში.

ფ. ენგელსი ტერიტორიას მიიჩნევდა იმ საფუძვლად, რომელიც აერთიანებდა ხალხს სამგვარეულო თემის დაშლის დროს, ნაცვლად ამ თემის სისხლის ნათესაობისა. ფ. ენგელსი გარკვევით აღნიშნავდა აგრეთვე „საზოგადოებრივი ხელისუფლების“ ცნებას, რაც იტევს სახელმწიფოს ორი ელემენტის—ხალხისა და ხელისუფლების ცნებას. ჩვენ სხვა დროს და სხვა გზით შევეცდებით გავარჩიოთ საკითხი სახელმწიფოს ცნების, რადგან ვერც ბურჟუაზიული და ვერც სოციალისტური იურიპრუდენცია ამ საკითხს ვერ უკავშირებს იმ კლასობრივ და იურიდიულ მომენტს, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ფ. ენგელსის სწავლაში.

ამ მხრითაც პროფ. მალიციის შრომას უმეტესი დეფექტი აქვს.

ამის მიუხედავად აღნიშნული შრომა საუკეთესო განძს წარმოადგენს. ავტორის დიდი დაკვირვებით აქვს იურიდიული თვალსაზრისის სისწორე შემოწმებული კლასობრივ სინამდვილის ნიმუშებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მიერ ხალხის სუვერენობის საკითხის გარჩევა. ავტორი ისტორიულ ექსკურსიით ასაბუთებს სუვერენობის ცნების განვითარებას, რომელიც ასრულებდა გაბატონებული წოდებისა და კლასების ხელში მოხდენილ იარაღს სახელმწიფო ძალაუფლების დასაცავად. ყურადღებას იპყრობს ხელისუფლების დანაწილების თეორიის სერიოზული კრიტიკა და საბჭოთა სახელმწიფოში ხელისუფლების მთლიანობის თეორეტიული დასაბუთება. ავტორი სწორად არკვევს პარლამენტარიზმის ბუნებას და მის ფიქტიურ ძლიერების დროს ფაქტიურ უძლურებას კაბინეტების წინაშე.

დასასრულ, ავტორი არჩევს საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად საკითხებს და საბ. სახელმწიფოს ორგანიზაციულ სისტემას. ამ მხრივ ავტორი დიდი დაკვირვებით და სიცხადით ააშკარავებს ჩვენი სახელმწიფოს წესწყობის მთავარ მომენტებს.

მაგრამ სასურველი ყო ავტორს მოეცა სახელმწიფოს მოსაპოების პროცესის შესწავლა. საბჭოთა სახელმწიფო ხომ უკანასკნელი სახელმწიფოა თვითლიკვიდაციის მიზნის მქონე. ეს საკითხიც მოითხოვდა ყურადღებას. მაგრამ რასაც ავტორი არჩევს საყენებით ეთანხმება მარქსისტულ იურიდიულ აზროვნებას და ააშკარავებს საკითხის ღრმა ცოდნას

ეს შრომა მიღებულია საქართველოს სახ. უნივერსიტეტის და ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კურსის სახელმძღვანელოდ.

სასურველი იქნებოდა გვენახა ქართულ ენაზე.

იურისტი.

ფ ო ს ტ ა.

ქარელი. ი. კაციტაძე. თქვენს წერილებს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

ზუგდიდი. ე. როდონიას. თქვენს წერილს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

რედაქცია აცხადებს ადგილობრივ თანამშრომელთა საყურადღებოდ, რომ უადგილობის გამო ამ ნომრისათვის დამზადებული მასალა გადაიდო შემდეგი ნომრისათვის, რომელიც გამოვა 15 იანვარს.

ოფიციალური ნაწილი

შინაარსი: იუსტსახკომის ცირკულარები № 61, 62, 63, (ს.ს.რ.კ. მუშ და გლ. ინსპექციის ინსტრუქციით), 64.—უზენაეს სასამართლოს ცირკულარი № 5.—უზენაეს სასამართლოს პლენუმის განმარტებანი.

იუსტსახკომის ცირკულარები.

ცირკულარი № 61.

ფრ. სასწრაფო.

ყველა სამაზრო და სახალხო სასამართლოს.

ასლი: პროკურორებს, უზენაეს სასამართლოს და აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

ადგილებიდან შემოსული შეკითხვების გამო იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ ისეთ პირთა მიმართ, რომელნიც არ მოისურვებენ მათთვის ს. ს. კავშირის ცაკის ა. წ. ნომბრის 2-ის ამნისტიის შეფარდებას მათი საქმის არსებითად განხილვამდე, უნდა იხელმძღვანელოთ საქ. სოც. საბჭ. რესპ. უზენაესი სასამართლოს 1925 წ. აპრილის 27-ის განმარტებით (1925 წ. № 15-16 „მოამბე“ გვ. 40-41) და გარდა ამისა შემდეგით:

აღნიშნულ პირებს წინდაწინ უნდა განემარტოს, რომ ვინაიდან ისინი უარს ამბობენ ამნისტიით მინიჭებულ შეღავათებზე, მათ უკვე აღარ შეეფარდებათ ა/წ. ნომბრის 2-ის ამნისტია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მათ დამნაშავეთ სცნობს და მათი მდგომარეობის შემსუბუქება შესაძლებელი იქნება პარტოდენ სრ. საქ. საბჭ. ცაკის კვრძო ამნისტიის წესით. ამ განმარტების შემდეგ ასეთი პირების საქმე უნდა დაინიშნოს არსებითად განსახილველად, თვით ამ პირებს კი წინასწარ უნდა ჩამოერთვას ხელწერილი იმის შესახებ, რომ მათ არ სურთ ისარგებლონ ამნისტიის შეღავათებით.

ხოლო, თუ საქმე მოიხობა ა/წ. ნომბრის 2-ის ამნისტიის ძალით, მაშინ, ანალოგიურად სისხ. სამ. საბრ. კოდ. 4-მუხ. 1-შენიშვნისა, ბრალდებულს უნდა უფლება მიეცეს ორი კვირის განმავლობაში იმ მომენტიდან, რაც მას გამოუცხადეს საქმის მოსაბოძა, მოითხოვოს ამ საქმის არსებითად განხილვა. ასეთ შემთხვევაშიც საჭიროა ბრალდებულს წინდაწინ განემარტოს ის, თუ რა შედეგი მოჰყვება ამნისტიის მინიჭებულ შეღავათებზე უარის თქმას.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყ. გამგე **ი. სიჭინავა.**

25 ნოემბერი 1927 წ.

ცირკულარი № 62

ყველა სახალხო და სამაზრო სასამართლოს, სასამართლოს მოწყობის და ზედამხედველობის განყოფილების ქვეგანყოფილებას და ყველა ნოტარიუსს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს და აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1927 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილების თანახმად (ს. ს. რ. კავშირის ცაკის 1927 წ. ნომბრის 26-ის № 271 „იზვესტია“) 1928 წ. იანვ. 1-დან ძალაში შედის 1927 წ. სექტემბრის 14-ს გამოცემული სახელმწიფო საღებრო გამოსაღების წესდების 37 მუხლი, რომლის მიხედვით თამასუქისათვის საღებრო გამოსაღების გადასახდელად ეს თამასუქი უნდა დაიწეროს სათანადო ღირებულების სათამასუქო ბლანკზე.

ამის გამო იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძღვეთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი: 1928 წ. იანვრის 1-დან გაცემული თამასუქი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს საპროტესტოდ და მის გამო გაცემულ იქნეს სასამართლო ბრძანება. თუ იგი დაწერილია სათანადო ღირებულების სათამასუქო ბლანკზე და მხოლოდ ამ შემთხვევაში ვრცელდება მასზე ყველა ის

წესი, რაც გათვალისწინებულია სათამასუქო დებულებით (1924 წ. № 11 „მოამბე“, გვ. 6-11). ისეთი თამასუქი კი, რომელიც გაცემული იქნება 1928 წ. იანვრის 1-დან, არა სათამასუქო ბლანკზე, იგი კიდევ რომ შესაბამებოდეს სათამასუქო დებულების 2 მუხლს, უნდა ჩაითვალოს უბრალო ვალდებულებად და განიხილება იმ ნორმების თანახმად, რაც დაწესებულია სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებისათვის (სამ. საპ კოდ. 130-151 და 208-219 მუხ.).

რაც შეეხება 1928 წ. იანვრის 1-მდე გაცემულ თამასუქს, მას შერჩება თამასუქის ძალა, ე. ი. მასზე ვრცელდება სათამასუქო დებულებით გათვალისწინებული ყველა წესი, თუ იგი შესაბამეა სათამასუქო დებულების 2 მუხლის მოთხოვნას. ამ რიგად აღნიშნული თამასუქი შეიძლება მიღებულ იქნეს საპროტესტოდ და მის გამო შეიძლება სასამართლო ბრძანების გაცემა. კიდევაც რომ სათამასუქო ბლანკზე არ იყოს დაწერილი.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყ. გამგე **ი. სიჭინავა.**

16 დეკემბერი 1927 წ.

ცირკულარი № 63

ყველა სამაზრო და სახალხო სასამართლოს და ნოტარიუსს. ასლი: უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

ს. ს. რ. კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 21-ს და დეკემბრის 14-ის დადგენილების მიხედვით (ს. ს. რ. კ. კან. კრ. №№ 66 და 77-1926 წ.) იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შემოიღო შრომის ნუსხა თვითეულ მოსამსახურებზე, დამოუკიდებლად მისი სამსახურებრივი მდგომარეობისა და წინადადებას აძლევს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ყველა დაწესებულებას მიიღოს სახელმძღვანელოდ შემდეგი:

- 1) შრომის ნუსხის შევსების დროს მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ამა ცირკულიარისათვის დართულ ს. ს. რ. კ. მუშ. და გლხნთა ინსპექციის სახ. კომ. ინსტრუქციაში აღნიშნული წესი.
- 2) შრომის ნუსხის შევსება ტფილისის ფარგლების გარეშე სამაზრო და სახალხო სასამართლოების, სახალხო გამოძიებლების და ნოტარიუსების კანცელარიის თანამშრომლებზე ევალებათ სამაზრო და სახალხო მოსამართლეებს, გამოძიებლებს და ნოტარიუსებს კუთვნილებისამებრ.
- 3) შრომის ნუსხის შევსება სახალხო მოსამართლეებზე, გამოძიებლებზე და ნოტარიუსებზე ევალებათ სამაზრო მოსამართლეებს.
- 4) შრომის ნუსხის შევსება იუსტ. სახ. კომ. ტფილისში მყოფ ყველა დაწესებულების თანამშრომლებზე ევალება სასამართლოს მომწყობ და ზედამხედველობის განყოფილებას (პირადი შემადგენლობის მაგიდას), რომელმაც უნდა გამოიმუშავოს სათანადო წესი თანამშრომლების გამოცხადებისათვის განყოფილებაში, დოკუმენტების წარდგენისათვის და სხვ.
- 5) შრომის ნუსხის შევსება პროკურორებზე და სამაზრო მოსამართლეებზე ევალება სასამართლოს მოწყობისა და ზედამხედველობის განყოფილებას (პირადი შემადგენლობის მაგიდას), რისთვისაც ყველა პროკურორი და სამაზრო მოსამართლე ვალდებულია იქონიოს საჭირო დოკუმენტები, და პირველ ჩამოსვლისთანავე ტფილისში გამოცხადდეს სასამართლოს მომწყობ და ზედამხედველობის განყოფილებაში ნუსხის შესაცვლათ.

6) შრომის ნუსხა, შევსების შემდეგ გაიგზავნება იუსტ. სახ. კომ. სასაზ. მომწყ. და ზედამხედვ. განყოფილებაში.

7) რუსების შესაძენად გაწეული ხარჯი დაიფარება სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტით, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ბიუჯეტზე იწყობება თანამშრომელი.

8) ყოველივე ცვლილება, რაც მოხდება თანამშრომლის მდგომარეობაში შრომის ნუსხის შევსების შემდეგ, უნდა ეცნობოს იუსტ. სახ. კომ. სას. მომწყ. და ზედ. განყოფილებას (პირადი შემადგენლობის მაგიდას) სათანადო დოკუმენტების წარდგენით საერთო წესისამებრ.

9) იუსტ. სახ. კომ. ყველა ზემოაღნიშნულ ორგანოს წინადადება ეძლევა:

- 1) შეავსონ შრომის ნუსხა უახლოეს ვადაში;
- 2) შრომის ნუსხის შემოღების შემდეგ აღარ შეიტანონ ანკეტაში ის ცნობები, რაც უკვე ნუსხაშია შეტანილი.

10) იმისათვის, რომ იუსტიციის ორგანოთა მუშაკების სოციალური მდგომარეობა ერთნაირად იყოს განსაზღვრული, იუსტიციის სახ. კომისარიატი განმარტავს, რომ უპარტიო მუშაკის სოციალური მდგომარეობა განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მისი სოციალური მდგომარეობა საბჭოთა სახ. აპარატში შესვლის დროს, ამასთან:

1) „მუშად“ იგულისხმება ის პირი, ვისაც, სახ. აპარატში შესვლამდე, თავის ფიზიკური შრომის დაქირავებით უმუშავებია განუწყვეტლივ, არა ნაკლებ 3 წლისა, წარმოებაში, სასოფლო მეურნეობაში ან და ტრანსპორტზე.

2) „გლეხად“ იგულისხმება ის პირი, ვინც, სახელმწიფო აპარატში შესვლამდე, ეწეოდა განუწყვეტლივ, არა ნაკლებ 3 წლისა, სასოფლო მეურნეობას, მესაქონლეობ.ს, მენადირეობას ან მეთევზეობას, იმ პირობით კი, რომ იგი დამოუკიდებლად (და არა დაქირავებით) ეწეოდა მეურნეობას ან და პირადი შრომით იღებდა მონაწილეობას კოლექტიურ მეურნეობაში და აგრეთვე თავის მშობელთა და ნათესავთა მეურნეობაში.

3) „მოსამსახურედ“ იგულისხმება ყველა სხვა პირი, ვინც კი არც პირველსა და არც მეორე კატეგორიას არ ეკუთვნის.

4) სრ. საკავშირო კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატების სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს მომქმედი წესი.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედ. განყ. გამგე

ი. სიჭინავა.

ს. ს. რ. კავშირის მუშ. და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის ინსტრუქცია.

ს. ს. რ. კავშირის სახ. კომ. საბჭოს მიერ 1926 წ. სექტემბრის 21-ის და დეკემბრის 14-ის შრომის ნუსხების შესახებ გამოცემულ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

1. შრომის ნუსხაში ცნობების შეტანის დროს გრაფაში „სალოქველი“ აღინიშნება დოკუმენტი, რომლის მიხედვით ჩაიწერა ცნობა. უკეთუ დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, გრაფაში „საფუძველი“ აღინიშნება, არ არის დადასტურებული დოკუმენტით“.

2. შრომის ნუსხის მეორე ნაწილში ამ ნუსხის პირველად შევსების დროს შეიტანება წარსული სამსახურისა და პრაქტიკული სტაჟის ფაქტები.

3. უკეთუ შრომის ნუსხის შევსების შემდეგ მოხდა რაიმე ცვლილება, იგი შეიტანება პირველი ნაწილის გრაფაში „ცვლილებანი“ (მაგ., სასწავლებლის დამთავრება, გამოსვლა პარტიიდან ან პარტიაში შესვლა).

4. მოსამსახურეს უფლება აქვს გადაათეილიეროს თავის შრომის ნუსხა, მას შეუძლიან განაცხადოს, რომ შრომის ნუსხაში შეტანილი ესა თუ ის ცნობა სწორი არ არის. უკეთუ იგი ვერ შეუთანხმდა ადმინისტრაციას, საკითხი შეიძლება გადატანილ იქნეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

5. შრომის ნუსხა იბეჭდება ს. ს. რ. კავშირის მუშ. და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფორმისამებრ სტანდარტის ფორმით А 5 (148 X 210) მ. მ.

6. შრომის ნუსხების შემოღება უნდა დაიწყოს ყოველგან არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის I-ისა.

ინსტრუქციას თან ერთვის შრომის ნუსხის ფორმა, (შ. ს. კ. იზვესტია (IX-27 წ. № 8. გვ. 114).

ცირკულარი № 64

ყველა სახალხო სასამართლოს.

ა/წ. დეკემბრის 5-დან 1928 წ. თებერვლის 22-მდე.

ქართული მსროლელი დივიზია აწმრმოებს წვევამდე სამხედრო მომზადებას. წითელ არმიის ძლიერების განსამტკიცებლად ერთის მხრით და სამხედრო სამსახურის მოვალეობისაგან თავის არიდების აღმო-საფხვრელად, მეორე მხრივ, საჭიროა რომ ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც თავს აარიდებს წვევამდე სამხედრო მომზადებას, თავის ორო-ზე იყოს მიღებული ღონისძიება, გათვალისწინებული სისხლ. სამ. კოდ. 82 მუხლის ახალ რედაქციით, (მიღებულია ს. ს. ს. რ. ცაკის და სახ. კომ. საბჭოს 1927 წ. მარტის 20-ის № 38 დადგენილებით. კან. კრ. 1927 წ. № 3, 10 მუხ.).

აღნიშნულის მიხედვით იუსტიციის სახ. კომისარიატი წინა-დადებას გაძლევთ: ყოველი საქმე გაწვევამდე სამხედრო მომზადები-დან თავის არიდების შესახებ დანიშნეთ განსახილველად დაუყონებ-ლივ და განიხილეთ სასწრაფო წესით. ამასთან საჭიროა, რომ ასეთი საქმეები იხილებოდეს შეძლების გვარად თავმოყრის პუნქტებში, ვი-ნაიდან ადგილებზე გამოტანილ განაჩენს გარდა იმისა, რომ აღმ-ზრდლობითი მნიშვნელობა აქვს, აქვს აგრეთვე გამაფრთხილებელი მნიშვნელობაც.

სოციალური დაცვის ღონისძიების დანიშნის დროს იხელ-მძღვანელოდ სისხ. სამ. კოდ. 28 (ახალი რედ. 49) მუხლის განმარტე-ბით, რომელიც მოცემულია იუსტიციის სახ. კომისარიატის 1925 წ. ნოემბრის 4-ის № 60 ცირკულარით („მოამბე“ 1925 წ.).

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამ. განყ. გამგე

ი. სიჭინავა.

26 დეკემბერი 1927 წ.

**უზენაეს სასამართლოს ცირკულარი № 5
სამაზრო და სახალხო სასამართლოებს.**

წესები დამთავრებულ სამოქალაქო საქმეებზე გამოტა-ნილ გადაწყვეტილებების გადასინჯვისათვის შუამდგო-მლობის აღძვრის შესახებ.

ვინაიდან შემჩნეულია, რომ სახალხო სასამართლოები, ისე როგორც მაზრის პროკურორები, უზენაეს სასამართლოს სამოქალა-ქო საკასაციო საკრებულოში უსწაროდ ადგენენ დამთავრებულ სა-მოქალაქო საქმეებს სასამართლოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის მიზნით, როგორც სამ. სამ. საპ. კოდ. 251—252 მ., ისე 254 მუხლე-ბის წესით—უზენაეს სასამართლო წინადადებას იძლევა, რათა მტკი-ცეთ იქნეს დატული შემდეგი წესები:

1. სამოქ. სამ. საპ. კოდ. მე-24 მ. თავის ნამდვილი აზრის მი-ხედვით სასამართლოებს არ აქვთ მინიჭებული უფლება უშუალოდ აღძრან საკითხი უზენ.ეს სასამართლოს სამოქ. საკასაციო საკრებუ-ლოს წინაშე სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ. ეს უფლება მიცემული აქვს პროცესში მონა-წილე მხარეებს და რესპუბლიკის პროკურორს ან სათანადო მაზრის პროკურორს (სამოქ. სამ. საპ. კოდ. 252 მ.). ამიტომ როდესაც სასა-მართლო საჭიროდ დანიხნავს დამთავრებულ სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გადასინჯვას, უნდა შემდგენიარად მოიქცეს: ა) უკეთუ მხარეების მიერ სასამართლოში აღძრულ იქნა შუამდგომ-ლობა სამოქ. სამ. კოდ. 251 მუხ. გათვალისწინებულ ნიშნების მი-ხედვით, ასეთი განცხადება უკანვე უნდა დაუბრუნდეს მხარეს გან-მარტებით, რომ მას შეუძლია უშუალოდ მიმართოს უზენაეს სასა-მართლოს თავმჯდომარეს ან თვითონ სასამართლომ უნდა გადაუგ-ზავნოს განცხადება უშუალოდ უზენაეს სასამართლოს თავმჯდომა-რეს, რაც ეცნობება მხარეს. ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეების მიერ არ იქნება აღძრული შუამდგომლობა საქმის გადასინჯვის შე-

სახებ და მოსამართლე კი საკვიროდ დანიანავს საქმის გადასინჯვას, სასამართლო ასეთ შემთხვევებში აცნობებს მაზრის პროკურორს, რომელიც გამოითხოვს საქმეს და წარადგენს უზენაეს სასამართლოში ზედამხედველობის წესით განსახილველად.

თავმჯდომარე მეგრული შვილი.

1927 წ. 19 ნოემბერი.

უზენაეს სასამართლოს კლენუმის განმარტებანი*).

სამ. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს კლენუმის 1927 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმიდან № 15.

1. სისხლის სამართლის საპრ. კოდ. 35 მუხლის იმავე კოდექსის 117 მუხლთან დაკავშირებით განმარტება, თუ რა შემთხვევაში შეუძლია გამომძიებელს ინელმძღვანელოს სისხ. სამ. კოდ. 35 და 117 მუხლებით.

თანხმად სისხ. სამ. საპრ. კოდ. 117 მუხლისა რამდენიმე სხვა და სხვა საქმე შეიძლება შეერთებულ იქნეს ერთ საგამომძიებლო საქმედ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს რამოდენიმე პირს ბრალად ედება თანამონაწილეობა ერთ ან რამდენიმე დანაშაულში და უკეთეს რამდენიმე ერთგვარ დანაშაულს ჩაიღებს ერთი და იგივე პირი ან სხვადასხვა, ხოლო ერთი წადილით შეკავშირებულ დანაშაულს. აღნიშნული მუხლი, როგორც მისი შინაარსიდან სჩანს, ითვალისწინებს ინსტრუქციას, რომლის ძალით შესაძლებელია და მიზანშეწონილი ხდება რამდენიმე საქმის ერთ საგამომძიებლო საქმედ შეერთება; ასეთ ნიშნებით 117 მუხლში დასახელებულია დანაშაულში თანამონაწილეობა, დანაშაულის ერთგვარობა და ერთი წადილით დაკავშირება. ეს მუხლი არ აწესებს ამა თუ იმ ნიშნების მიხედვით საქმეების აუცილებლად შეერთებას; თუმცა პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები, რომ რამდენიმე საქმე იმდენად დაკავშირებულია ერთი მეორესთან, რომ მათი ცალკე გამოძიება აუცილებლად შეუძლია ხელს საქმის ყოველ მხრივ გამოძიებებს. საქმეთა შორის ასეთი დამოკიდებულების შესაძლებლობა გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 312 მუხ. მეორე ნაწილით, რომელიც მტკიცეთ განზრახულ შემთხვევებში ავალებს სასამართლოს მთელი საქმის დამატებითი გამოსაძიებლად წარმართვას. ამგვარათ საქმეების ერთად შეერთება შესაძლებელია არა მარტო გამოძიების დასაჩქარებლად, და ხარჯების შესამცირებლად, არამედ მათი უფრო სწორად გამოსაძიებლად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიებელი ვალდებულია ს. ს. კ. 117 მ. მიხედვით განიხილოს და ასწონ-დასწონოს ყველა გარემოებით ერთი მეორესთან დაკავშირებით და ისე გადაწყვიტოს საკითხი, თუ რამდენათ მიზან-შეწონილია საქმეების შეერთება და ან მათი ცალკე გამოძიება. სისხ. სამ. საპრ. კოდ. 35 მუხლი კი ითვალისწინებს საქმეების ქვემდებარეობისამებრ წარმართვას, რომელიც ერთ და იმავე დროს ექვემდებარება სხვადასხვა კატეგორიის ს. სამართლებს; უკეთეს შემთხვევაში იქნება ოლქის სასამართლოს და სახალხო სასამართლოს ქვემდებარე საქმეები, შეერთებული საქმე თანახმად ს. ს. სამ. საპრ. კოდ. 35 მუხლისა—უნდა ცნობილ იქნეს ოლქის სასამართლოს ქვემდებარეთ და ამ უკანასკნელს უნდა გადაეცეს განსახილველად; აღნიშნულ მუხლის შინაარსი სავალდებულო არის და მისი არიდება შეიძლება მხოლოდ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 31 და 32 მუხლების წესით უზენაეს სასამართლოს მეშვეობით; წინადადება ეძლევა ქვემდებარე სასამართლოებს ინელმძღვანელონ აღნიშნულ ახსნა-განმარტებით.


2. სამ. სამ. კოდ. 432 მუხლის ახსნა-განმარტება კრედიტორების მიერ გარდაცვალებულის ქონების მიმართ ძიების აღძვრისათვის კანონით გათვალისწინებულ ნ თვის ვადის მტკიცეთ დაცვის შესახებ.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება იმავე სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 8 ივლისის დადგენი-

*) უზენაეს სას. განმ. გაგრძ. იქნება შემდეგ ნომერში.

გამომცემელი:

სამ. ს. ს. რ. იუსტიციის
სახალხო გამომცემლობა.



ლების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ. აღნიშნული დადგენილებით გაუქმებულია ქ. ტფილისის მეორე უზენაეს სასამართლოს 1927 წ. 26 თებერვლის გადაწყვეტილება ძიებისა გამო სიმონ ივანეს-ძე კაციაძისა გარდაცვალებულ ალექსი შიოშვილის მემკვიდრე ეკატერინე შიოშვილთან, როგორც პირადაი ისე გარდაცვალებულის ობლების და ქონების მეურვესთან ფულების შესახებ.

როგორც სჩანს ქ. ტფილისის მე-2 უზენის სახალხო სასამართლოს წარმოების საქმიდან № 1263 ალექსი შიოშვილის ობლების ქონება მამის გარდაცვალების შემდეგ აწერილი იყო განათლების სახ. კომისარიატის სამეურვეო განყოფილების მიერ 16 მარტს 1926 წ. ალწერის დღე უნდა ჩაითვალოს გარდაცვალებულის ქონების მიმართ დაცვითი ზომების მიღების დღეთ, საქმეზე წარმოდგენილი მამის მოწმობის თანახმად ალექსანდრე შიოშვილი გარდაიცვალა 12 თებერვალს 1926 წ., რაც უნდა ჩაითვალოს მემკვიდრეობის გახსნის დღეთ; სამ. სამ. კოდ. 433 მ. შენიშვნის თანახმად გარდაცვალებულ შიოშვილის კრედიტორს—სიმონ კაციაძეს თავის პრეტენზია უნდა გაცხადებინა ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნისა, ან სამემკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიების მიღების დღიდან; რაც გამომდინარეობს თვით ზემოაღნიშნულ მუხლის შენიშვნის შინაარსიდან მემკვიდრეთა სასარგებლოთ. პრველი ძიება კაციაძეს ალექსანდრე 1927 წ. 20 იანვარს ე. ი. კანონით გათვალისწინებულ ექვსი თვის ვადის განვლის შემდეგ, როგორც მემკვიდრეობის გახსნის აგრეთვე დაცვითი ღონისძიების მიღების დღიდან; მითითება მამიბლის, რომ სამ. სამ. კოდ. 432 მუხლი ძიების აღძვრის ვადას ვითომდა არ შეეხება, ვინაიდან ეს მუხლი ითვალისწინებს მემკვიდრეობის გამოუსხადებლობის შემთხვევას და დაცვითი ღონისძიების მიღების შემდეგ და არ განმარტავს კრედიტორის მოვალეობას სამემკვიდრო ქონების მიმართ,—არ არის სწორი, რის გამო უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს პლენუმის 1927 წ. 8 მაისის დადგენილება, რომლითაც გაუქმებულია ქ. ტფილისის მე-2 უზენის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე წარმოებით მოსპობილია, დამტკიცდეს.

3. საღერბო გამოსაღების დებულების 16 მუხლის განმარტება, გადახდება თუ არა ჯარიმა საღერბო გამოსაღებით დაუფარავ ხელწერილის სხვასთან ერთად გაცემისათვის ისეთ პირს, რომელმაც თავისი ხვედრი ვალი გადაიხადა კრედიტორის მიერ ძიების აღძვრამდე.

საღერბო გადასახადის წესდების მე-16 მუხლის თანახმად საღერბო გადასახადის წესების დარღვევისათვის კერძო პირები იხდებიან საღერბო გადასახადს და ჯარიმას სოლიდარული პასუხისმგებლობით; ამ მუხლის პირდაპირი აზრის მიხედვით აღნიშნული ჯარიმა უნდა დაეკისროს ყველა იმ პირებს, რომლებს შორის ესა თუ ის გარიგება (ხელწერილი, ხელშეკრულება და სხვა) იყო დადებული; საღერბო გადასახადის წესდების მეორედების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის 39 მუხლის I შენიშვნის თანახმად, სოლიდარული პასუხისმგებლობა მდგომარეობს არა იმაში, რომ საღერბო გადასახადი და ჯარიმა გადახდებთ გარიგებაში მონაწილე მხარეებს ცალკე არამედ იმაში, რომ ეს გადასახადი და ჯარიმა მხარეებმა უნდა ერთად გადაიხადონ. ამასთან ერთად ჯარიმა უნდა დაეკისროს სასამართლოს მხრით პირველ ყოვლისა იმ მხარეს, რომლის ხელში საღერბო გადასახადით დაუფარავი დოკუმენტი აღმოჩნდა და მხოლოდ მაშინ, თუ ჯარიმის და გადასახადის აღება ამ მხარისაგან შეუძლებელი გახდა, ჯარიმის და გადასახადის გადახდა უნდა მიეკეთებულ იქნეს დანარჩენ მხარეებზედ. იმ მხარეს, რომელიც ჯარიმას გადაიხდის მეგრების უფლება აქვს გარიგებაში მონაწილე დანარჩენ მხარეების მიმართ. ამის გამო უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: განმარტოს ქვემდებარე სასამართლოებს, რომ საღერბო გადასახადის წესების დარღვევისათვის ჯარიმა გადახდება სოლიდარულ პასუხისმგებლობით ყველა პირებს, რომლებს შორის ესა თუ ის გარიგება იყო დადებული, ამასთან ერთად ჯარიმა სასამართლოს მხრით უნდა მოეთხოვოს პირველ ყოვლისა იმ მხარეს, რომლის ხელში საღერბო გადასახადით დაუფარავი საბუთი აღმოჩნდება.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი.

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, ა. კაჭარავა, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.

სტამბა გ. შარია ვოსტოკა-სი. საზა წულუკიძის ქ. № 4. | მთავ. № 2319. ტირაჟი 1000 ც.